მდ. რიონის ნაფენი ზასიათდება კათონების შთანთქმის მაღალი ტევადობით ($53-73$ მ-ეკვ. 100 გ ნიმუშზე) და სუსტად გამოხატული მიკრობიოლოგიური მოქმედებით, რომელიც სწრაფად იზრდება ნაფენის ზედაპირულ ჰორიზონტებში მისი დალექების შემდეგ.

მდ. რიონის ნაფენის შედეგების გამოკვლევის შედეგები, რომლებიც აქ მოკლედა გადმოცემული, ნებას გვაძლევს გავაკეთოთ რიგი დასკვნები

პერიოდი	თემა	წალენჯის შედენილობა				წალენჯის მდინარის კვების ზომა	ცლილების წალენჯის შედენილობაზე მდგრადი წინა პერიოდის შედებით
		სტრიქი	მართვასწერი	გეოლოგიური დოკუმენტი	გეოლოგიური დოკუმენტი		
შემოდგრავია-ზამთრის	ნოტბერი და მშენებრივი დაწერილი თემებისათვის	2,33 2,03 2,36 2,35	7,2 7,2 7,9 7,9	31,55 28,47 35,52 34,00	13,23 — 30,74 22,73	უძინარესი; წევოლური გარეული იმ ტერიტორით, საფრანგეთის ა პერიოდში თხოვად ნალენჯის გარეულის (მორისონტალი 1000 მ დონეზე), ზონაში შედარებით დოკუმენტით მიწის გარეულისა, გარებობის სახით და დარღვევის მდინარეები და ვენახები, რომელიც ჭიდას ამ პერიოდში მცირებული არიან ბაზარული მცირებულობას. გარებობის მიმერკავად არიან გარებობას და ვენახების მცირებულობას.	1) კოლოფური ფარავის შემცირების განხილვა (მაქსიმალურად)
საშუალო ამ პერიოდისათვის		2,27	7,55	32,38	22,24		2) კურეულის ზემცირების განხილვა (მაქსიმალურად)
გაზარდებას	ჩატარი აპრილი მაისი	2,17 1,93 2,01	8,7 9,0 8,8	29,32 25,33 26,25	— — 8,91	შემოგდომა-ზამთრის პერიოდთან შედარებით ფართოება, ყრაიადან თოვლი დღება საშუალო მოებრი (1000—2000 მ სი-დ), რომელის საგრანიტო ნაწილი კიბიან-კარსტულია. ნალენჯის განასაზღვრული რაოდენობისა ზონაში 1000 მ დაბლა აგრეთვე ამცირება ამ ზომის სედლით წონას ნალენჯის მდინარის კვების მიზანით	3) მიკროგეოგრაფიული მიმარტინა და გარებობის მცირებულება (მაქსიმალურად)
საშუალო ამ პერიოდისათვის		2,04	8,8	26,97	8,91		4) კარბონატების შემცირება (მინიმალურად)
ზალენტ-შემოტე-გორის	ერისა ივნისი აგვისტო სექტემბერი იქტომის	2,14 1,89 2,00 1,92 1,83	7,2 8,0 8,2 8,6 8,6	32,80 32,98 29,86 29,61 29,24	8,35 8,24 3,58 — 4,05	უძინარესი; შეიკავებული მდინარის მოლე აუზის გარეული თოვლის ზერმოვი საშუალებისა. ნიადაგის ზეფასინი ამ პერიოდში კვების უდიდეს უდიდესი დაუცული სამორავებელია, ყრაიადან ბაზარული მცირებულობა განვითარებულია	1) კოლოფური ფარავის შემცირება (მ-ნიმალურად)
საშუალო ამ პერიოდისათვის	საშუალო წლიური	1,96 2,08	8,1 8,1	30,90 31,16	6,06 12,48		2) კურეულის შემცირების შემცირება (მინიმალურად)

როგორც კოლმატაციის ამოცანებთან, ისევე სხვა სახალხომუშარნეობრივი პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირდებით. ჩევნ არ შევქერდებით ამ საკითხის ყველა მხარეზე. ჩევნ გვინდა მხოლოდ ურალება მივაქციოთ წლის განმავლობაში ნაფენის შედგენილობის შეცვლას, ნაფენის შედგენილობის დიანოიას, რომელიც მდინარის აუზში რიც ფიზიკურ-გეოგრაფიულ პროცესებს ახასიათებს, კერძოდ დენუდაციის პროცესებს.

օ մ տաղաևանիուսութ, հոգործ ցերուութան հանս, վլույրու ցրյալու շըօն-
լցեա դաշտու սա մ էօդրուուցուր չըրուութաւ: Մըմուցումն-էնմտրուս, հոմելու 4
տարս Շըուացս (Եռմեծրու-ուցերալու), զածացնուլուս, հոմելու 3 տարս
Շըուացս (մարդու-մասու), զա նացելու-Շըմուցումնս, հոմելու 5 տարս Շըուացս
(օյնուսու-ոյշրումերու). հոգործ ցերուութան հանս (օք. սյանասենցըլու սցըլու),
պացելու մ չըրուութուս զասացնութիւն ագուու օյշս նացնուս Շըլցենուութիւնն
եղանց Շըպրուած. այս, մացալուուաւ, Շըմուցումն-էնմտրուս չըրուութուս զասացնութիւն
նացնեան օնթուցեա կոլուութիւն ցրայցուս Շըմպրուելուն (3 էօդրուուցուրու
չըրուութուս մայսնօմալուր սօնդուցմեց), մարցուլուն էնմուշնուս Շըմպրուելուն (մայսն-
օմալուրամեց), մզցուութաւ մարցուլուն նացնուս մոյրուուցհրցաւ բաժ (մայսնօմալուր-
մեց), մըուրուցեա նացնեան յանմունացիւնուս հառուցնուն (մոնմօմալուրամեց). մինուցաւ,
հցեն մոյր յամուուցուլու պացելու էօդրուուցուրու չըրուութուս նասուաւթուցեա մցոնանիուս
նացնուս ցանսաշլուրնուլու Շըլցենուութիւն, հոմելու օպուլցի Շըմլցեցի էօդրո-
ւուցուրու չըրուութուս լացուութունացաց.

• რით შეიძლება აიხსნას მდინარის ნაფერის შედეგნილობის ასეთი სეზონური ცვლილებანი?

օմօւսացուն, հռմ ացեսնատ մթոնահուն նացյոնի Մշեցցենօնլոնքն անցու գոն-
միցա, սակարուա ցանցիօնը տայութե մթոնահուն նացյոնը կը զերի Նոնցին Մշ-
սիցազլուն դա ամ Նոնցին քութուղուցուր ձերուուցքի Մշցպան տայալսանինուն.
ամստանաց սակարուա մեցցելուն մոցուղու մթոնահուն աշխիս ցոնեցուր-ցու-
ցրացուր գուրունքին մտյուլու ցրտունքուն դա ամ աշխիս նուացայրու սացահուն
մթցումարցուն ըլուամինուն սամցուրներ մովեցցեծաստան դաշաւթուրինը.

აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მც. რიონი ნაფენით მდიდრდება უმთავრესად ორი წყაროს ხარჯზე: ჯერ ერთია, მიმდინარეობს ზღინარის კალაპოტის მუდმივი გადარეცხვა მდინარის მთან ნაწილში და პერიოდული (წყლიდობის დროის) დაბლობ ნაწილში; მეორეც, მდინარის ნაფენის წყარო არის ნიიდაგგრუნტის ჩამორეცხვა და გადარეცხვა წყიმებისა და თავსმების ზეგავლენით (რაც ასე ხშირია ამ რაონზში), აგრძელებით გადატეხულ-ზატეხულის მრანარი წყლების ზეგავლენით აუზის მთან ნაწილში.

თუ ყველაფერ ამას მიეკიდგოთ მხედველობაში, მდინარის ნაფენის შედგენილობის შეცვლა შეიძლება იმსას მდინარის ნაფენით კვების ცალკეული ზონების ხვდებოთ წონის შეცვლით პიდროლოგიურ პერიოდებში. მართლაც, შემოღომა-ზამთრის პიდროლოგიურ პერიოდში მდინარის ნაფენით კვების ზონა შემოფარგლულია მუდმივი თოვლის საფრის ქვედა საზღვრით. იმ პერიოდში სახნივი მიწების მიზნენლოვანი ფართობები ამ ზონაში მოკლებულია მცე-

ნაფეულ (ზალახეულ) საფარს და ამიტომ უფრო მეტად ჩამოირეცხება ხოლმე, ვიდრე წელიწადის სხვა დროში.

ამ გარემოებათა გამო შემოლგომა-ზამთრის პერიოდში მდ. რიონის ნაფენში მეტ მონაწილეობას იღებენ აუზის მთისჭინა (ბორცვიანი) ზონის სახ-ნავი ნიადაგების ზედაპირული ჩამოირეცხვის პროდუქტები, იქ კარბობს მძიმე შექანიური შედგენილობის ნიადაგები, საქაოდ გამოტურული (უკარბოჩატო), და შედარებით ნაკლებ მონაწილეობას იღებენ მდ. რიონის აუზის მთიანი ნა-წილის ეროზის პროდუქტები, რომელთაც უფრო უხეში მექანიკური შედგენი-ლობა და კარბონატების დიდი შემცველობა ახასიათებს.

ამიტომ შემოლგომა-ზამთრის ჰიდროლოგიურ პერიოდში მატულობს ჰუმუსისა და კოლოიდური ფრაქციის შემცველობა, კარბონატების შემცველობა კი კლებულობა. ამავე პერიოდში შესამჩნევად იზრდება ნაფენის მიეროვარე-გატობა ნიადაგების ზედაპირული გადარეცხვის პროდუქტებით გამდიდ-რების შედეგად.

გაზაფხულის წყალდიდობა (მარტი-აპრილი), გაპირობებული თოვლის დრობით მუდმივი საზამთრო თოვლის საფარევლის ზონაში (1000—2000 მ ზღვის დონიდან), აგრეთვე კოლხიდის დაბლობ ზონაში მშრალი პერიოდის დადგომა (აპრილი-მაისი) მცემთაღ ცვლის მდ. რიონის აუზის ზოგიერთი ზონის მონაწილეობას მდინარის ნაფენით კვებაში. ამასთანავე მატულობს ხევდ-რითი წონა საშუალო მთების ზონისა, რომელიც აქ უმთავრესად კირვან-კარსტულია [2], და მიწათმოქმედებაც აქ უფრო ნაკლებადაა განვითარებული, ვიდრე ბორცვიან ზონაში.

ამიტომ გაზაფხულის ჰიდროლოგიურ პერიოდში საგრძნობლად მატულობს ნაფენის კარბონატობა, რომელიც აღწევს თავის მაქსიმუმს (8,9—9,0%), და იყლებს ჰუმუსის, აგრეთვე კოლოიდური ფრაქციის შემცველობა (მინიმალურ საშუალო თეისტ სიდიდემდე). წლის ამავე პერიოდში (მარტი-მაისი) ნაფენს ვანსაფუთრებით მსუბუქი მექანიკური შედგენილობა აქვს.

ზაფხულ-შემოლგომის (თავსხმების) ჰიდროლოგიურ პერიოდში მდ. რიონის ნაფენი ხასიათდება კარბონატების შემცველობის მკვეთრი მერყეობით (რაც დაკავშირებულია მდინარის აუზში მშრალი და წვიმიანი ამინდის პერიოდულ შეცვლასთან), ჰუმუსის, არამაღალი შემცველობით და შედარებით მძიმე მექა-ნიკური შედგენილობით, უმთავრესად ნაფენში 0,01—0,001 მტ ფრაქციის შემ-ცველობის გაზრდის გამო.

მდ. რიონის ნაფენის შედგენილობის ასეთი შეცვლაც ზაფხულ-შემოლგო-მის პერიოდში აისხება მდინარის ნაფენით კვების ზონის დახასიათებით ამ ჰიდროლოგიურ პერიოდში (იხ. ცხრილი).

კველაფერი ზემოთქმული ნებას გვაძლიერს ვითიქროთ, რომ მდინარის ნაფენის შედგენილობის დინამიკის სწორად ახსნისათვის საჭიროა მხედველო-ბაში მივიღოთ ფაქტორების მოელი ერთობლიობა, რომელიც ამ დინამიკას საჭლერიდეს: მდინარის აუზის გეოლოგია და გეომორფოლოგია, მისი ჰიდრო-ლოგიური თავისებურებანი, ჰავა, მცენარეული საფარის ხასიათი და, ბოლოს, მდინარის აუზში მიწების სოფლის მეურნეობისათვის გამოყენება.

ამასთანავე შედეგები მდინარის ნაფენის შედგენილობის დინამიკის შესწავლისა, შევსებული მდინარის აუზის ზემოთ ჩატარებული „ფიზიკურ-გეოგრაფიული ანალიზით“, მისი სასოფლო-სამეურნეო გამოყენების გათვალისწინებით, ამდიდრებს ჩვენს შეხედულებებს მდინარის პიდროლოგიაზე, დღნუდაციის პროცესზე, კრძოლ ნიადაგების ეროზიაზე მდინარის აუზში, და მათ ხელი უნდა შეუწყონ უფრო სრული შეხედულების შემუშავებას ფიზიკურ-გეოგრაფიულ პროცესზე მდინარის აუზში [1].

დასკვნები

1. მდინარის ნაფენის შედგენილობის შესწავლა დიდ ინტერესს წარმოადგენს როგორც თეორიული, ისე სახალხო შეურნეობის თვალსაზრისით, ამდიდრებს რა ჩვენს შეხედულებებს ილუვიური ნალექებისა და ალუვიური ნიადაგების გენეზისზე და ასაბუთებს რიგ ნიადაგურ-მელიორაციულ ლონისძებებს (მიწების გაშრობა და მორწყვა, ნიადაგების ეროზიასთან ბრძოლა და ა. შ.).

2. მდ. რიონის ნაფენის შედგენილობის შესწავლა გვიჩვენებს, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირს ნაფენის შედგენილობასა და ამ შედგენილობის დინამიკას შორის და, მეორე მხრივ, მდინარის აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებსა და აუზის ფართობის სამეურნეო გამოყენებას შორის.

შესაძლებელი ხდება წლიური ციკლის 3 პიდროლოგიურ პერიოდად დაყოფა. ყოველი პიდროლოგიური პერიოდისათვის შეიძლება გამოვყოთ მდინარის ნაფენით კვების ზონები და აღნიშნოთ კვების თავისებურებანი, რომელიც ნაფენის შედგენილობას განსაზღვრავენ.

3. მდინარის ნაფენის შედგენილობის დინამიკის გამორკვევა, შევსებული მდინარის აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული ანალიზით და ადამიანის სამეურნეო მოქმედების გათვალისწინებით, მდინარის აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული (და ნიწილობრივ საჭარბო) პირობების დახასიათების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მეზოლების საცდელი სადგური

სკრა

(რედაქციას მოუვიდა 27.3.1950)

გამოშვებული ლიტერატურა

1. А. А. Григорьев. Некоторые итоги разработки новых идей в физической географии. Изв. АН СССР, сер. геогр. и геофиз., т. X, № 2, 1946.
2. А. Н. Джавахишвили. Геоморфологические районы Грузинской ССР. Москва, 1947.
3. А. Ф. Скворцов. Колматаажные почвы Колхидской низменности и способы их окультуривания, 1945 (рукопись в архиве Колхидстроя).

გაოღობის

ა. ჯავახიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

გარე კანონის თაზილისის მოსაზღვრე ნაწილის ნაოჭები

თბილისა და მის უშუალო მიდამოში ცნობილი არის მთელი რიგი ან-ტიკლინები, რომელიც აქარა-თრიალეთის სისტემის ნაოჭების გაგრძელებას წარმოადგენს. ამ ანტიკლინებს საფუძველი ზედა ეოცენის დასაწყისში ჩიდეა-რა, მაგრამ მათი განვითარება შემდეგ საუკუნეებშიაც გრძელდებოდა. აღმო-სავლეთისაკენ ისინა თანდათან გაშლას განიცდიან და მალე, ჩანს, საესებითაც ქრებიან აზერბაიჯანის ბელტის უდრევ ფურქე [1]. მაგრამ გარე კახეთის ოლი-გოცენისა და მიოცენის საქამაო ინტენსიური დანაოჭება თითქო ასეთი შეხე-დულების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. როგორ უნდა გავიგოთ შემოხსენე-ბულ პირობებში ამ დანაოჭების ბუნება და წარმოშობა?

როდესაც ნავთის გეოლოგების კოლექტივის შრომების და საექსპარი დაკ-ვირებების საფუძველზე ნ. კულ რიაც ცცე ის მიერ შედგნილს გარე კახე-თის გეოლოგიურ რუკას გავეცანი პირველად, იმ წამს თვალში მეცა ამ მხა-რის იგებულების მაფიო თავისებურება. უფრო ძველი წყებების ვიწრო გრძე-ლი ზოლები ანტიკლინებს ემთხვევიან. მათ შორის სინკლინებში მოთავსებულია ახალგაზრდა ნალექების ფართო ზოლები. ასეთი ვითაოუბა გარკვევით ვაჩივე-ნებს, რომ აქ ვიწროდ შემჭიდრობული ანტიკლინები და ფართოდ გაშლილი სინკლინები უნდა გვქონდეს. ჩჩება შოაბეჭდილება, რომ ეს არის კარგად გა-მოსახული ზეშრული ნაოჭები, ხოლო ის გარემოება, რომ ანტიკლინების გულ-ში მაკომური თიხები არის შეჰქელეტილი, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ნალექები ეოცენის ზედაპირზე (ან, ზარევზის შემთხვევაში, უფრო ძველ სუბ-სტრატზე) უნდა იყოს წახვეტილი, ხოლო მაკომი საცხების (ცამავა) როლს უნდა თამაშობდეს.

ეს კონცეფცია, რომელიც მე საქამაო სარწმუნოდ მეჩვენებოდა, მაინც ადგილზე შემოწმებას მოითხოვდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გე-ოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის კახეთის ექსპედიციის მუშაობამ ამის საშუალებაც მომცა.

უკვე ნორიო-მარტინოვის რაიონში, ორმოიანის (ქვემო ავჭალის) სინკლი-ნის ჩრდილო ფრთაში ვ. პახომოვი ორ დამატებით ანტიკლინის აღნიშნავს. ეს მოვლენა ჩეცნმა დაკვირვებამაც დაადასტურა. სინკლინის აღნიშნულ ფრთა-ში, იზოკლინურად შეკეცილ და ძლიერ დაჭანებულ მაკომურ შერებში ჩენ ვიპოვეთ და გავაკვლიერ პახომოვის ორი ანტიკლინი და კიდევ მესამეც. მათი მიმართულება ისეთივეა, როგორც მთავარი ნაოჭისა. ნაოჭების ხასათი ეჭვს არა სტრექის, რომ საფურამოს ქედის შემოცულების გამო მაკომი მოსწ-

ყვეტია თავის ფუქსის და ზღვარულად მჭიდრო ნაოჭებად შეკეცილა. იმავე ქვემო ფეხის სინკლინის სამხრეთ ფრთაში, რომელიც შეცოცებისაგან უფრო დაშორებული არის და რომელშიც ოლიგოცენის სისქე ბევრად უფრო დიდია, ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს, თუ არ ჩავსთვლით ლისის ანტიკლინის შესაძლებელ მცირე გაგრძელებას [1].

უფრო აღმოსავლეთით, სოფ. პატარძეულის შიდამოში ფითარება კიდევ მეტად შეაფინ არის. ამ კუთხის გოლოგიური რუკა მოცეცული აქვს მას-ლოვს და შემდეგ ნ. ე. გ. ბ. ა. ე. ს.

უკანასკნელის ცნობები საკმაოდ ზუსტია და ჩვენს დაკარიცვებაზე უფრო დეტალური, მაგრამ მთთი ტექტონიკური ინტერიცერტაცია, ფფიქტორი, რამდენადმე შესაცვლელი არის. სოფულის სამხრეთით მდებარეობს კარგად გამოსახული განედური ანტიკლინი, რომელსაც ჩვენ ერთ-ერთი მაღლობის მიხედვით არხას ანტიკლინი ვუწოდეთ. დასაცლეთით, სადაც ზედა ტერასიდან რკინის გზის საღურისაჟენ გზა ჩამოძის, ამ ანტიკლინს მეორე გამოყოფა, რომელიც ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთისაჟენ მიერაოთება, ხოლო შემდეგ სამხრეთისაჟენ უხვევს და იორის მარჯვენა ნაპირზე აზამბურის (მაღაზოვეის) ანტიკლინის სახით გრძელდება. უკანასკნელის დერნი სოფ. კრასნოგორსკის (წინათ აზამბური, შემდეგ მოლხაზოვე) ცოტა დასაცლეთით გაიღოს.

არხას ანტიკლინის კარგი ჭრილი შეიძლება გავიცნოთ ფიდინაანთ-ხევის (იორის მარცხენა შენაკადია) გასწერილი. სოფლის სამხრეთ ბოლოშივე მარჯვნიდინ ჩამომდინარე პატარი შენაკადის ხრამში გაშიშელებულია სარმატის ქვიში-ქვები და თიხები. დაქანება $N \angle 65^{\circ}$ არის. უფრო სამხრეთით იმავე წყების დაქანების კუთხე მატულობს, მაგრამ მიმართება უცელელად განედური რჩება. სარმატულის შემდეგ (ქვეშ) გამოიყოფა შუა მიოცენი, ხოლო მას შემდეგ ყირა დაძგარი მაკიური თიხები. უკანასკნელი კარგად არიან გაშიშელებული ორივე მაღალ ტექში 100-ოდე მეტრის სიგანე ზოლის სახით, საიდანც შეიძლება დაფასკვნათ, რომ მაკიურის წყების ნაოჭში მოყოლილი ნაწილის სისქე 50 მეტრი იქნება. სამხრეთ ფრთაში იგივე შრეება მეორდებიან, მხოლოდ საჭინააღმდეგო თანამიმდევრობით. ანტიკლინის მაკიური გულის სისქე მთელი ბექის სიმაღლეზე უცლელი ჩანს ან ოდნავ თუ მცირდება ზევითება. თიხის თხელ შრეებს შეწერულისა და, შესაძლებელია, გამოვანდერის (развалы цювание) გარდა სხვა რმ დეფორმაცია არ განუცდია. სამხრეთი ფრთის შეული ქვიშაქვების შრეების თავები სამხრეთისაჟენ არის ოდნავ გადახრილი, რაც ნაოჭის ასიმეტრიულობისა და სამხრეთული მოძრაობის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

ფიდინაანთ-ხევის მარცხნივ არხას ანტიკლინი და მისი მაკიური გული ადეილი გასაკვლევი არის ნაზვრევად წოდებულ გორაკამდე, სადაც იგი სამხრეთით უხვევს იორისაჟენ. იმავე დროს ნორქის დერნი იძირება და თვით ნაოჭის დელუვიონსა და მეოთხეულ ნალექებს ქვეშ ითარება. მაგრამ მდინარის გამომა ნაპირზე შუა მიოცენის ნალექებში არხას ანტიკლინის გაგრძელებაც და მასა და აზამბურის ანტიკლინს შუა მდებარე სინკლინიც ადგილად გაითჩევა.

ანტიკლინის დასაცლეთი გაგრძელების გავლენა შენაჩენების არარსებობის გამო ერთხანს (3,5 ქმ) იღირ ხერხდება, მაგრამ ბოგირ-ხევის ხრამში, იქ

სადაც უკანასკნელი რკინის გზის სადგურის ტერასზე გამოდის, მაიკოპი ისევ შიშვლდება. აქეც იგი შევულად დგას და სამხრეთი და ჩრდილო ფრთის შუამიოცნის ქანებშია მომწყვდებული. მიმართება განედური არის, ხოლო ნაჩენის მდებარეობა ზუსტად ემთხვევა ნაოჭის ნაგულისხმევი ღრებისას. ევე ხდება აზამბურის ანტიკლინის გამოტოტვა, რომლის ბუნება წინათ მცდარიდ იყო გაგებული.

კიდევ უფრო დასავლეთით ანტიკლინის მაიკოპური გული იორის მარცხენა ნაპირის ბეჭში შიშვლდება სოფ. სართივალის პირდაპირ და საკირე ქარხნის სამხრეთით. მიკოპის ყირაზე მდგომი შრეები ჩრდილოეთისაკენ სუსტად დახრილ სარმატს. (შუას და ქვედას) ეხება მცირე ნასხლეტის გასწრები. სარმატში ორი ტალღებრივი სინკლინი არის და ორივე იორისაკენ ბერიკლინურად ბოლოვდება. სარმატს ქვეშ იორის პირას გ. კელი ძე მ შუა მიოცენიც იმოვა, რაც აქეთენ მთელი მიოცენის ძლიერ მცრავ სისქის მაჩვენებელი არის.

ამრიგად, უკიდურესად მცირდოდ შეკეცილი ანტიკლინის ხასიათი ფილინანთ-ხევში ძლიერ გარკვევით ჩანს; რაც შეეხება სინკლინს, მისი აგებულება ტიპიური ხდება უფრო დასავლეთით, იორისკენ. იქ მიოცენი ძლიერ თხელდება და შუა სარმატული კარბონატული ფაკიესით არის წარმოდგენილი. ანტიკლინის გულის ჩრდილოეთით მიოცენი აშეარა გავაკებას განიცდის და შიგ მეორადი გაშლილი ნაოჭები ჩნდება.

ანალოგიურ მოვლენებს ეხედებით სამხრეთით მეზობელი არხაშენის (ნაცვალ-წყლის) ანტიკლინის გადაკვეთისასაც. ნაცვალ-წყალის (იგივე არხაშენ-სუ) ხრამის დასაწყისშით თვათ წყაროს ნავთან ციის წყების კონგლომერატები და თიხები არიან გაშიშვლებული. დაქანების კუთხე 15° არ აღმარტება. შემდეგ რამდაღმა მოდის იგივე ციის წყება, სარმატი, შუა მიოცენი და მაიკოპი. მაიკოპი ნაოჭის გულს შეადგენს და ფერტიკალურად დგას. ხემოთ დასახელებულ წყაროდან მაიკოპამდე დაქანების კუთხე თანდათან მატულობს, ჯერ ნელა, შემდეგ კი, ანტიკლინის გულის მიახლოებებისას, სწრაფად.

იგივე სურათი მეორდება აზამბურის ანტიკლინისაკენ. უკანასკნელის გულიც ძყირავებული მაიკოპისაგან შედგება. მკაფიოდ გამოიჩინება ეს ორი შემცირდობული ანტიკლინი და ფართოდ გაშლილი ვაკე სინკლინი მათ შუა.

კიდევ უფრო ტიპიური არის სამხრეთი სინკლინი, ნაცვალ-წყალის ანტიკლინისა და უდაბნოს ანტიკლინის შუა რომ მდებარეობს. ეს ფართო მეულდა რელიფშიაც კარგიდ არის გამოხატული, ხოლო უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის აღმოსავლეთით დიფსიზინ-სუს წყაროსთან მშვენიერ გაშიშვლებაში კარგად ჩანს ფართო სინკლინის ფსკერის პორიზონტულად განლაგებული შრეები.

მსგავსი მიგალითები შეიძლებოდა ძლიერ გაგეემრავლებია, საჭირო რომ იყოს. ყველგან ძალზე შეტევილობული შევული ანტიკლინები ფართოდ გაშლილ სინკლინებთან მორიგეობენ. ანტიკლინების თაღი ბზირად გარღვეული არის და ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ ჩრდილო (resp. აღმოსავლეთი) ფრთა სამხრეთ (resp. დასავლეთ) ფრთაზედ არის მეტ-ნაკლებად შესხლეტილი. ასეთი

მოვლენებია ტიპიური იურის მთებისთვისაც, რომელიც, როგორც ცნობილია, ზეწრული ნაოჭების კლასიფიკაცია ნიშანად ითვლებათ.

გარე კახეთის ნაოჭებს ჩვეულებრივად დიაპირულს უშოდებენ. დიაპირიზმი მართლაც ზეწრულ ნაოჭებთან არის ხოლმე დაკავშირებული, მაგრამ ამ მოვლენის ნიშნები აქ არსად შეგვხვედრია. მართლად, ანტიკლინების მიკომპური გული ხშირად ზედაპირზე ამოდის, მაგრამ ეს აშეარაც ეროზის შედეგი არის. ანტიკლინების თაღი არაიშვიათად გარღვეული არის, მაგრამ იმავე დროს ერთი ფრთა მეორეზედ არის შეცოცებული, რაც პორიზონტული ძალების მაჩვენებელი არის. შაიკოპი ნაოჭების გულში ძლიერ შექედილი არის, მაგრამ აშშუშვნა არსად ჩანს და შრების განლაგება საცემით ნორმალურია. დასასრულ, დიაპირიზმი მეტად თუ ნაკლებად გაშლილ ბრაქიანტიკლინებს ჰგულისხმობს, აქ კი ძლიერ წაგრძელებული ვაწრო ანტიკლინები გვაქვს. საჭიროა ყოველივე იმას ანგარიში გაეტიოს პრატიკული გეოლოგიის თვალსაზრისითაც.

თუ ახლა ისევ გარე კახეთის ნაოჭების აღწერას დაფუძრუნდებით, შეიძლება აღვინიშნოთ, რომ ყველაზე ჩრდილო მათ შორის არხას ანტიკლინი იქნება. იორიდან ნაზერებამდე (სოფ. აღ-ბულახის სამხრეთით) მას განედური მიმართულება აქვს. ნაზერების მიახლოებისას იგი საგმოდ უცრად სამხრეთისენ უხვევს და მერიდიანული მიმართულებით გადადის იორის მარჯვენა ნაპირზე, სადაც მისი გაყვლევა მხოლოდ ქრასნოგორსკიდან იორისაკენ მიმავალ შევლის შარაგზამდე ხერხდება.

როგორც უკვე აღვინიშნეთ, ბოგირ-ხევთან არხას ანტიკლინს აზამბურის ანტიკლინი ერთვის. უკანასკნელს ჯერ სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულება აქვს, მაგრამ იორს გალმა იგიც სამხრეთისაკენ უხვევს და ნოვოპავლოვეკის ნასოფლარიამდე ამ მიმართულებას ინარჩუნებს, რათა შედეგ ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემართოს ტაურა-თაფამდე და მას იქეთ, უდიბნოს სინკლინის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოსაზღვრე ქედის გასწრივ.


ნაცალ-წყალის ანტიკლინიც, რომელსაც კარგი ჩანს თითქმის ზუსტად განედური მიმართულება ($270-280^{\circ}$) აქვს, მწვ. დემურ-დაღთან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უხვევს და ასე გრძელდება მაღლობ ტაურა-თაფამდე, სადაც აზამბურის ანტიკლინს უერთდება. სახარე ტბის ჩრდილო-დასავლეთით კარგად ჩანს ამ ორ ანტიკლინს შუა მდებარე სინკლინის პრატიკული დაბოლოვება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

შემდეგი სამხრეთისაკენ იქნება უდაბნოს ანტიკლინი, რომელიც თეთრი უდაბნოს სერს ემთხვევა. მას სამხრეთ-აღმოსავლეთური მიმართულება აქვს. ამ ნაოჭის ახლო გაცნობის შემთხვევა მე არა მქონის, მაგრამ მისი ზეწრული ხასიათი ექვს არ იწვევს. მეორე მხრით, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთური გაგრძელდება პატარა უდაბნოს მაღლობისაკენ მეაფიოდ ასიმეტრიული არის და, წინააღმდეგ ზემოთ ჩამოთვლილი ნაოჭებისა, ჩრდილოეთისაკენ ($NO-სკენ$) გადაწილობით. ამასთან დაკავშირებით მეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ კ. რუსთავის ჩრდილოეთით მტკეცის მარცხენა ნაპირზე დიდი ხანია ცნობილი არის მაიკოპის შევენიერი გაშიშვლება იალუზის სინკლინური დეპრესიის

ჩრდილო ფრთაში. გაიშვება მაღალ ბექს მიწყება რკინის გზის ლიანდაგის-გასწვრივ და ჩათბა-კაჯარ-დალის ზურგობის ჭრილს წარმოადგენს. უკვე ფურ-ნიე [2] აღნიშნა აქ მაიკოურის ჩრდილოეთისაკენ გადახრილი დაწოლილი ნაოჭები.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მეორე რიგის ნაოჭები არის იალუჯის ზე-მოთ ხსენებული სინკლინის ჩრდილო ფრთაში, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ, თუ ამ რაიონისთვის კინონზომიერს მიმართების სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადახრას მივიღებთ მხედველობაში, ისინი ბუნებრივად უკავშირდებიან უდაბნოს ანტიკლინს. სამწუხაროდ, უკანასკნელი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მე შესწავლილი არა მაქტა და ლიტერატურული ცნობების მიხედვით კი იგი სამხრეთისაკენ უნდა იყოს გადაწოლილი. ამ ცნობებს შემოწმება და დაზუსტება ესაჭიროება.

ამავ შეიძლება გადავიდეთ საერთოდ თბილისის ნაოჭებისა და გარე კასეთის ნაოჭების ურთიერთობის საკითხზე (სურ. 1). სხვაგან მე აღვნიშნე [1], რომ ლისის ანტიკლინი თბილისის სხვა ნაოჭებზე აღრე ვაკლება და ქრება.



სურ. I. 1—თელეთის ანტიკლინი და 1' მეორადი ნატი მის სამრეო ფრთაზე; 2, 3, 4 და 5—მამადაგითს, ლისის, მცხეთის და წყნეთის ანტიკლინები; მ—ქვემო აქტალის სინკლინის ჩრდილო ფრთის ანტიკლინები; ა, ას, ნ და უ—არხას, ახამბურის, ნაცვალ-წყლის და უდაბნოს ანტიკლინები; A—ნორიო-მარტყოფის შესტლერა; B—ზონის სამხრეთი საზღვარი

მამადავითის ანტიკლინი უფრო შორს გრძელდება, თუმცა მისი გაყვლევა მხოლოდ მდ. ლოჭინამდე ხერხდება. მდებარეობის მიხედვით მის უშესაღწევი გაგრძელებას წარმოადგენს არხას ანტიკლინი. სწორედ ასევე ნაცვალ-წყლის ანტიკლინი თელეთის ანტიკლინის გაგრძელებას ემთხვევა. ჩათმის ნაოქებისა და უდაბნოს ანტიკლინის შესაძლებელ კავშირზე ხომ უკვე ვთქვით. არხასა და ნაცვალ-წყლის ანტიკლინების დასავლეთი ნაკვეთის განედური მიმართება კარგად ადასტურებს ამ კონცეფციას.

მაგრამ გარე კახეთის ნაოქები ხომ ზეწრული ნაოქები არიან, ხოლო თბილისის ნაოქები აქარა-თრიალეთის გრესინკლინურ როგორი წარმოაშენენ. როგორ უნდა გავიგოთ მათ შორის კავშირი, თუ კავშირი შესაძლო კა?

ზეწრული ნაოქების წარმოშობა ორგვარ პირობებში არის შესაძლებელი. ჯერ შეიძლება, რომ დანაოქება კარგად მოსწორებულ სუბსტრატზე ხდებოდეს. ასეთ ზემთხვევაში ნაოქების განლაგება და ხასიათი მთალიანად მთათწარმოშობის ძალების მიმართულებაშე, სუბსტრატის მოხაზულობაშე და დანაოქებაში მონაწილე დანალექი საფარის რაგეორობაშე იქნება დამოკიდებული. მივიღებთ თავისუფალ ნაოქებს.

შეორე ზემთხვევა იქნება, როდესაც სუბსტრატის ზედაპირი საკმაოდ უსწორმასწორი არის და, კერძოდ, როდესაც მას ადრინდელი დანაოქების შესატყვისი ტალღებრივობა შერჩენა. ასეთ პირობებში ანტიკლინები აღრინდელ ამაღლებულ ზოლებთან დაკავშირებით წარმოიშობა. ეს იქნება იძულებული ნაოქები.

როგორც ჩანს, თბილისის აღმოსავლეთით სწორედ ამ უკანასკნელ ზემთხვევასთან გვაძვს საქმე. ზედა ეოცენური ნაოქების მისუსტებულ ბოლოებს აქ, ეტყობა, სრული ემერსია და გაფარეცხვა არ განუცდია. ამიტომ ზეწრული ნაოქების სუბსტრატს ძველი ნაოქების შესატყვისი ტალღებრივი ზედაპირი უნდა ჰქონდეს და ამიტომ ბუნებრივია, რომ ზეწრული ანტიკლინები სწორედ თრიალეთური ანტიკლინების თაორზე წარმოშობილიყვნენ და მათი განლაგება გაემორჩიდათ. უფრო აღმოსავლეთით თრიალეთის (თბილისის) ნაოქების უშეალო გავლენას ვეღარ ვიგულისხმებთ, მაგრამ ერთხელვე ჩასახული ნაოქები თავის მიმართულებას შეინარჩუნებენ იმ წინააღმდეგობის გამო, რომელსაც დანაოქებული კომპლექსი გაუწევს ყოველ გადახრას.

მაგრამ სენებული ზეწრული ნაოქების ქცევაში არის ერთი თავისებურება, რომელმაც დიდ ხანია ყურადღება მიიქცია და დღემდე აუხსნელი რჩება. როგორც ხახაზედაც აღვილად შევამჩნევთ (სურ. 1), სოფ. კრასნოგორსკის მერიიდიანამდე ნაოქებს განედური მიმართულება აქვს. ხოლო იქ ერთთავად უხვევენ სამხრეთისაკენ და მერიდიანულ მიმართულებას იძენენ, რასაც მაღლ ახალი მიხრა მოჰკვება, ახლა უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, კახეთის ქედის შესატყვისად, და ეს მიმართულება საბოლოო რჩება. ნაოქების ეს რთული მიხვევ-მოხვევა განსაკუთრებით სოფ. კრასნოგორსკის რაიონში არის მეაფიონ და ამიტომ ამ კუთხეს აზამბურის (მალხაზოვის) ტექტონიკური კვანძი უწოდეს.

როგორ უნდა გავიგოთ უკანასკნელის ბუნება?

უპირველეს ყოვლისა ცხადი არის, რომ ნაოჭთა ლერძების მოხრის მიზე-ზი აზამბურის ქედის ოღონისავლეთით უნდა მდებარეობდეს, რადგან მოხრა სწორედ ამ ქედის გასწერით ხდება. ქედიც და ნაოჭებიც გარს უვლიან დასავ-ლეთიდან ვრცელ დეპრესიას, რომელიც აღმოსავლეთისაკენ კახეთის ქედიამდე მიდის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით იმავე ქედის საგურამოს ზონას ეჯვინება. ამრიგად, ეს დეპრესია, რომელსაც საქანავთის გეოლოგები წიწმატიანის ველს უწოდებენ, საგურამოს ზონის გაგრძელებას წარმოადგენს.

აზამბურის კვანძის ახსნის ძებნისას ყველაზედ უფრო მარტივი ჩანს წარმო-ვიდგინოთ, რომ წიწმატიანის ველს ქვეშ რაიმე უდრევი სხეული მდებარეობდეს. მაგრამ ჯერ ერთი, სიღრმეში მდებარე უდრევი სხეული ზეწრული ნაოჭების გავრცელებისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს; და მეორეც, აზამბურის ნაოჭები გადაწოლილი არიან არა წიწმატიანის ველისკენ, არამედ საწინააღ-მდეგო მხარეებს. ცხადია, ამ ჰიპოთეზზე ხელი უნდა ავიღოთ.

მეორე მხრით, მართალია, მთელი ველი მეოთხეული და თანამედროვე ნალექებით არის დაფარული, რაც მისი აგებულების შესწავლას ძლიერ ანე-ლებს, მაგრამ იორის პირის მარჯვენა ბეჭის გასწერივ ფილინანთ-ხევის შესარ-თავს ქვემოთ საქმიან კარგი ნაჩენები არის. გაშიშვლებულია ცისფერი თიხე-ბის წყება ყავარა ქვიშაქვების შუაშრებით. თუმცა ამ უკეცელად მიოცენური ნალექების უფრო ზუსტი ასაკი ცნობილი არ არის (უნდა ვიტიქროთ, ეს შუა მიოცენია), თვალში გვიცემა ფაციესის დიდი განსხვავება შუა მიოცენის და სარმატის უფრო დასავლეთით მდებარე ნაჩენებისავან, რომლებშიც ქი-შეცვები დიდ როლს თამაშობენ და სისქეებიც შეუდარებლალ უფრო მცირეა, განსაკუთრებით სართიშალისაკენ თუ გაიწევით. იძულებულის მხრი-ვაც და სისქეის მხრივაც ხსნებული ნალექები საგურამოს ზონის სინქრონული ნალექების ანალოგიური არიან. თითქმის სრული რწმენით შეიძლება დავისკვათა, რომ წიწმატიანის დეპრესია წარმოადგენს ჩანს სისქეების ზოლს, რომელშიაც მიო-ცენურ დროს ინტენსიური სედიმენტაცია მიმდინარეობდა.

ამ კუთხის მიოცენისწინა ისტორიის შესახებ რისამე გარკვეულის თქმა ძნელი არის. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იმ დროს აქ გაძლიერებულ სედიმენტაციას ადგილი არა ჰქონია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საგუ-რამოს ზონის დანაოჭება ამ ადგილზედაც უნდა გავრცელებულიყო მთლიანად. ჩანს, ეს არის საგურამოს როფის სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდე, რომელიც მხო-ლოდ ხანდახან მონაწილეობდა როფის ფსკერის ჩანირების მოძირაობაში.

ასე თუ ისე, აზამბურის ქედის ოღონისავლეთით მიოცენის სისქე ძალზე დიღია. ძირითადად თიხიანი ნალექების დიდი სისქე არათუ ხელსაყრელი არ იქნებოდა ზეწრული ნაოჭების განვითარებისათვის, მას შეეძლო ისეთივე დაუძ-ლეველი დაბრკოლება გამზღვარიყო, როგორც სხვადასხვა უდრევი სხეულები არის ჩვეულებრივი ნაოჭებისათვის. ამიტომ გასაგებია, რომ წიწმატიანის დეპ-რესიასთან მისელისას ზეწრული ნაოჭები სამხრეთით უხვევნ და ნაკლებ სქელსა და უფრო კომპეტენტურ ნალექებს მისდევნ დეპრესიის გარემოვლით.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზეწრულ დანაოჭებაში სქელი წყებების მონა-
 წილებია საერთოდ გამორიცხული იყოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დანაოჭების
 მთელ ფართობზე სისქეები დაახლოვებით ერთი რიგის უნდა ვიგულისხმოთ. სა-
 ფიქრებელია, რომ სწორედ ასეთი მდგომარეობა გვაქვს გარე კანეთის უფრო
 აღმოსავლეთით მდებარე ნაწილში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი
 თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 29.5.1950)

დამოუმატებელი ლიტერატურა

1. ა. ჯანელიძე. თბილისის მიდამოს ნაოჭები. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. X, № 8, 1949.
2. E. Fournier. Description géologique du Caucase central. Marseille, 1896.

პალეონტოლოგია

6. ბაზალუმი

ოჯახ MICROSOLENIDAE-ს ფილიაციის საპირისათვის

(ჭარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა ჭყვრმა ა. ჯანელიძემ 11.11.1949)

Hexacoralla -თა კლასიფიკაცია მრავალ ცტორს აქვს მოცუმული, მაგრამ რა ნიშნების მიხედვით არის აგებული ოჯახებში გვარების ფილიაცია, ეს მკაფიოდ არ ჩანს. მე შევეცადე ჰემი რაჭის მარჯნული ფაუნის შესწავლის საფუძველზე გამოწერები ეს საკითხი ზოგი ოჯახის მიმართ და აქ მომყავს ოჯახ Microsolenidae-ს შესახებ მიღებული შედეგები. შევლევართა უმრავესობა იურულ მარჯნებში მხოლოდ ორ რიგს არჩევს—Aporosa და Fungia. შექსაკორალების მესამე რიგის, Perforat'-ების ჭარმომადგენლები, მათი აზრით, ძხოლოდ ცარცულში გაჩნდნენ და ამიტომ ისინი იურულ ოჯახს Microsolenidae Fungia-ში ათავსებენ. ასე იქცევა სხვათა შორის გრეგორი ც [7], თუმცა იგი ამავე დროს აღნიშნავს, რომ Microsolenidae-ს ჭარმომადგენლები განხილული უნდა იქნენ როგორც ცარცულ Perforata-თა ჭინამორბედნი. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ოჯახის ჭარმომადგენლები ყველა ნიშნის მიხედვით Perforat'-ებში თავსდებიან, ეს სიკითხი გადასინჯვას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ზოგი ცტორი არჩევს [3,9] ამ ოჯახს მიზროლაც Perforata-ში ათავსებს. ეს კიდ, რომ ამ შემთხვევაში ისინი რიგი Fungia არ გამოყოფენ და შექსაკორალებში არჩევენ ორ რიგს—Aporosa და Perforata; მაგრამ რიგის Fungia გაუქმება მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება, რადგან მისი ჭარმომადგენლები შევეტრად განირჩევან ნაწილობრივ დასკრეტილი სეპტემბით როგორც Aporosa-თავის, ისე Perforata-თავის.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ Microsolenidae-თა ოჯახის ჭარმომადგენლებს სეპტა მთლიანად დასკრეტილი აქვთ და ფსევდოთექა არ გააჩნიათ, მაშინ მისი რიგ Fungia-ში მოთავსება არ უნდა იქნეს მიზანშეწონილი. ამგვარად, ეს ოჯახი Perforata-ში მოექცევა და იურულ შექსაკორალებში სამი რიგი იქნება გასარჩევი: Aporosa, Fungia და Perforata.


გადავიდეთ ახლა Microsolenidae-ების გვარების ჭარმოშობის თანამიმდევრობის, ე. ი. ფილიაციის დადგენის ცდაზე. Microsolenidae-ების ნიშანთა განვითარების, კერძოდ კოლონიის შექმნა-შენების შესწავლამ მიმიკვანა იმ დასკრემდე, რომ გრეგორი კლასიფიკაციის სქემა, რომელსაც მე ძირითადად ვიზიარებ [7], ამ შემთხვევაში ზოგ შესწორებას მოითხოვს. სახელდობრ, ნაცვლად მიმდევრობისა Anabacia, Microsolena, Dimorphphaea, როგორც ჩანს,

უფრო გამართლებულია თანამიმდევრობა *Anabacia*, *Dimorpharaea*, *Microsolena*-
 ჩემ მიერ შიღებულ ფილიაციის სქემაში მხოლოდ ის გვარები არის გათვალის-
 წინებული, რომელიც საქართველოში გვხვდებიან. ამიტომ, ცხადია, იგი სრული
 კერ იქნება და იგულისხმება, რომ, გარდა მოყვანილი გვარებისა, კიდევ არსე-
 ბობენ სხვანი (შუალედი), რომლებიც უთუოდ აკავშირებენ გვარებს უწყვეტ
 მიმდევრობაში. ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ გადავიდეთ ოჯახის *Micro-
 solenidae*-ს განხილვაზე.

Ordo Perforata

Fam. *Microsolenidae* Greg.

ამ ოჯახის მარჯნები გვხვდება როგორც ცალედი, ისე კოლონიური
 ფორმების სახით. კოლონიებს მცირე ზომა და მომრგვალებული ფორმა აქვთ,
 ხშირად პატელასებურიც არიან. საერთოდ ხშირია კონუსური და სუბ-
 კონუსური ფორმები. ჯამები ბრტყელია. სეპტებს მესრისებური აღნა-
 გობა აქვთ და მთლიანად დასვრეტილი არიან. სეპტა ტრაბეკულებით არის
 შეტენილი. ტრაბეკულები ურთიერთრისაგან მჯეოთრად არიან გათვისებული.
 მთელი რიგი ნირულების განივი სერიული და გრძივი შლიფების შესწავლისას
 გამოირკვა, რომ ამ ოჯახის წარმომადგენლებს სეპტის აღნაგობა ყველას
 ერთნაირი იქნას, სახელდობრ, მესრისებური (ნახ. 1). ექვემდებარებულის



ნახ. 1

ოჯახ *Microsolenidae*-ს წარმომადგენლების სეპტის აღნაგობა
 (გაფოფ. 10X)

განივ კვეთზე შლიფში ჩანს, რომ იგი შედგება
 ბოკექოთა კონისაგან, რომელსაც ცენტრში მუქი
 წერტილი იქნას. ეს წერტილი შეესატვისება ტრა-
 ბეკულურ დერბს. სეპტის გრძივ კვეთში ჩანს, რომ
 ტრაბეკულური რიგები თითქმის ჰორიზონტალუ-
 რად არიან დაწყობილი: მეზობელ ჯამებს შორის
 ფსევდოთექის კვალიც კი არ ჩანს. სეპტებს შორის
 ხშირად გვხვდებით ფსევდოსინაპტიკულებს და სი-

ნაპტიკულებს. ჩემ მიერ შესწავლილ *Microsoleni-
 dae*-თა უმრავლესობას ქვედაპირზე აქვს კონცენტ-
 რულად დანაოცებული ფსევდოეპითექა, ხოლო იმ
 ნიმუშებს, რომლებიც ზრდა სწრაფად ზდებოდა

და თანაც კოლონია არ იყო ჩაფლული შლაბში [1] ან მიმაგრებული იყო მყარ
 სუბსტრატზე, ფსევდოეპითექა არა იქნას. წიბოები ვაშიშვლებულია.

შესწავლილ მასალაში ამ ოჯახის შემდეგ გვარებს ცხვდებით: *Anabacia*,
Dimorpharaea, *Microsolena*, *Partimeandra*.

გვარი *Anabacia* ითვლება ამ ოჯახის უმარტივეს წარმომადგენლად ². ის
 ჩნდება ბაიოსურში, გვხვდება ბათურში და კალოვიურშიც, უფრო ზევით კი

(1) თავმცა უნდა აღინიშნოს, რომ კობი [8] მას *Thamnastraeidae*-ებში ათავსებს, რაც
 მიუღებელია, რადგან *Anabacia*-ს წარმომადგენლებს მთლიანად დასვრეტილი სეპტა აქვს.

აღარ გადადის: ეტყობა, მისი წარმომადგენლები კალოვიურში გადაშენდნენ. *Anabacia*-ს ფსკერი თითქმის ყოველთვის ბრტყელი აქვს ან ოღნავ ჩაზნე-ჭილი. სეპტემბერში მესრისებურად განლაგებული ტრაბეულებისაგან, რომელთა შორის რენა პორები.

ბათურიდან [?] ვხედვით გვარ *Dimorpharaea*-ს წარმომადგენლებს, რომლებიც კოლონიური ფორმები არიან. გაბატონებული შეხედულების თანახმად, ამ გვარის წარმომადგენლებში საწყისი დედა-ინდივიდის გარშემო უნდა ჩნდებოდეს ჯერ ერთ-დროულად კვირტების ერთი კონცენტრული მწერავი, მერე მეორე მწერივი და ასე შემდეგ, ისე, როგორც ეს *Dimorphastraea*-ს სჩვევია [5, 7, 8]. რაცის მასალის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ *Dimorpharaea*-ები სინამდვილეში დაკვირტვისას სულ სხვა-გვარ სურათს იძლევიან. ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის *Dimorpharaea lineata* Eichwald-ის ნიმუშთა სიმრავლემ საშუალება მომცა სერიული შლიფების შესწავლით გამომერკვია მისი ონტოგნეზისი (სერიული შლიფები გატარებული აქვს ზრდის ხასების გასწვრივ). აღმოჩნდა, რომ ამ სახის კოლონიის საწყის სტადიაზე (ნახ. 2) გვაქვს მცირე ზომის დიამეტრის ინდივიდი, რომელშიც სეპტები რადიალურადა განლაგებული. მეორე შლიფი გვიჩვენებს ამ ინდივიდის მოზრდილ სტადიას; იგი პირველთან შედარებით უფრო დიდია. მესამე კვეთზე, გარდა მოზრდილი ცენტრული ინდივიდისა, პერიფერიულ მხარეზე ჩანს ერთი მთლიანი დამთავრებული შვილი ინდივიდი და მის გვერდით მეორე შეილი-ინდივიდის მხოლოდ საწყისი სტადია—კვირტი. მეოთხე კვეთზე მარჯვანი უფრო მოზრდილ ჯამებს ემატება რამდენიმე ახალი, რომლებიც შედარებით მოკლე მონაკვეთზე გაჩნდნენ, მაგრამ არა ერთდროულად, არამედ ერთმანეთის მოყოლებით, მხოლოდ ძალზე სწრაფად. ჯამები კვეთში ქმნიან რეალურ მწერივს; მომდევნო კვეთზე ეს ჯამები თითქო წრეს კერავენ, მაგრამ ნამდევილად კი უკანასკნელ სტადიაზე, ზედაპირზე, ჩანს მეორე მწერივის დასიწყისზე ინდივიდები, რომლებიც გეგმაში პირველი მწერივის ინდივიდებს სპირალურად ებმიან (ნახ. 2, სურ. 6). ამრიგად,



ნახ. 2

Dimorpharaea lineata Eichwald-ის კოლონიის ონტოგნეტური განვითარება (სერიული კვეთები)

აქ ყოველი ინდივიდი მხოლოდ ერთ შეილ-ინდივიდს იძლევა და ისიც მხოლოდ ცალ მხარეზე. ამის შედეგია, რომ ამ მწერივების ერთობლიობას ჰელიკოიდური განლაგება აქვს. კოლონიის ქვედაპირზე სწრაფი ვერტიკალური ზრდის პერიოდებს შეესატყვისება ცილინდრული ფორმა, ხოლო დაკვირტვის პერიოდებს—გაშლილ-კონუსური ფორმა (ნახ. 3). ონტო-გენეტური განვითარება ამგვარივე ყველა ჩემ მიერ შესწევლილ *Dimorpharaea*-ში. ლიტერატურაში მოცემული სურათების მიხედვითაც იგი ყველა იღწეურილ ფორმაში ასეთივე, სახელდობრ, იქაც ჯამში იძლევიანი საწყისი ინდივიდის გარშემო ჰელიკოიდურად განლაგებულ მწერივებს.



ნახ. 3

Dimorpharaea lineata Eichwald-ის კოლონია (გვერდითი ხედი)

Dimorpharaea-თა კოლონიები ზემოაღწერილი და-კვირვების შედეგად შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კოლონიები. ეს კოლონიური ფორმა უნდა ჩაითვალოს გარდამავლად ცალედა მარჯნებიდან კოლონიურისაკენ (მარტივიდან რთულისაკენ), რადგან თითოეული ინდივიდი მხოლოდ ერთს (და ისიც ცალ მხარეზე) კვირტ-ინდივიდს (შეილს) იძლევა, რაც მას ცალედ მარჯნებთან აახლოებს, ხოლო რადგან ყველა ინდივიდი ერთად განაგრძობს ზრდასა და სიცოცხლეს, იგი ნამდვილი კოლონიაა. მეორე მხრივ, მისი პრიმიტიულობა აშერად მოწმობს, რომ იგი ამ ოჯახის კოლონიათა უმარტივეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს. *Dimorpharaea*-ს საწყისი ინდივიდი ფორმითა და აღნაგობით ძალიან ჰგავს *Anabacia*-ს. იგ. კახა ძის შეირ იღწეურილ ბაიოსურ *Anabacia*-ს [2] სივრცი და განივ ჭრილზე ჩანს, რომ სეპტიმ აღნაგობა იგივე არის, რაც *Dimorpharaea*-ს საწყისი ინდივიდებზე. ამიტომ ექვს გარეშე, რომ სხენებული გვარები თავს დებიან ერთ ოჯაშში; ამას ძალასტურებს აგრეთვე გრეგორი ც [17]; სხვათა შორის, მას არ უშარმოებია *Dimorpharaea*-თა კოლონიების შესწევლა სერიული ჭრილების საშუალებით და უთუოდ ამით იისნება, რომ *Dimorpharaea*-ს კოლონიის შენების შესახებ იგი არაუერს არ აღნიშნავს და კლისიფიკაციის სქემაში მას *Microsolena*-ს შემდევ თავსებს. მაიც რს [9] აღწერილი აქვს დაკვირტული *Anabacia*-ები. აღსანიშნებია, რომ გრეგორის შეიარა მიერაც არის აღწერილი დაკვირტული *Anabacia* ინდოეთის კაჩის ზრებიდან [7]; დაკვირტვის შოულენა *Anabacia*-თავის იშვიათ გამონაცემის წარმოადგენს და სახეთა დამახასიათებელ ნიშნაც არის ჩათვლილი; ზოგი ავტორი კი [6] ამ ნიშნის მიხედვით გვარ *Genabacia*-საც გამოყოფს. ჩემი აზრით, *Anabacia*-საგან ეს თვისება *Dimorpharaea*-ს მემკვიდრეობით გადაეცა. ამრიგად, *Dimorpharaea*-თა წარმომადგენლები, რომლებიც უფრო ხშირად ზედა იურულ წყებებში არიან მოქცეული, განხილულ უნდა იქნენ როგორც ამ შეუ იურული გვარის მემკვიდრეები, რომელთაც დაკვირტვის უნარი მიულით და ეს ნიშან-თვისება უკე გვიჩვათვის დამახასიათებელ ნიშნაც გადაქცეულა.

ამავე ოჯახს ეკუთვნის გვარი *Microsolena*, რომელსაც უფრო რთულად აგებული კოლონია აქვს. ამ გვარის წარმომადგენლებში დაკვირტვის მოვლენა გართულებულია. კოლონიის ყოველი ინდივიდი რამდენიმე კვირტს იძლევა

და ამის გამო კოლონიას ზედაპირზე მიიღება სრულიად უწესრიგოდ განლა-
გებული ჯამები. *Microsolena*-თა ჯამები ძალიან ხშირად საკითხის საკითხის ისეთივეა,
როგორც *Anabacia*-ს ჯამები [1], რაც უთუოდ ჭინაპირის ნიშანთა გამეორებით
უნდა იცხსნა. *Microsolena*-ს კოლონიის შენების წესის გასარკვევად ჩემ მიერ
შესწავლილ იქნება *Microsolena Desori* Koby-სა და *Microsolena Fromenteli* Koby-ს
სერიული ჭრილები [1] (ნახ. 4). *Microsolena*-თა
სერიულიად გაკვეთისას პირველი კვეთი გატარე-
ბულია კოლონიის საწყისზე. ჩანს მცირე ზომის
საწყისი ინდივიდი, რომელშიაც სეპტები რადია-
ლურადაა განლაგებული. მეორე კვეთზე საწყის
ინდივიდს უფრო დიდი დაიმეტრი აქვს, ვიღრე
პირველ კვეთზე ჰქონდა. მესამე კვეთზე ჩანს ერთი
მოზრდილი საწყისი ინდივიდი, რომელსაც რამდე-
ნიმე ადგილს ეტყობა სეპტების გამრუდება, რაც
კვირტებს შეესატყვისება. ჩეოთხე კვეთზე ნათლად
არიან გამოხატული საწყისი ინდივიდის გარშემო
უწესოდ განლაგებული მცირე ზომის კვირტი-ინდი-
ვიდები. მეხუთე კვეთზე ზემოთ აღნიშნულ ინდივი-
დებსაც უჩანთ კვირტები.


ეს ჭრილები გვიჩვენებენ, რომ დედა-ინდივიდი
იძლევა რამდენიმე ჯამს, თითოეული მათგანი შემ-
დეგ ისევ რამდენიმე ჯამს გვაძლევს და ა. შ. ამ-
რიგად, ამ გვარის კოლონიათა შენება *Dimorphar-
acea*-სთან ზედაპირებით გაცილებით უფრო რთული
ვზით მიმდინარეობს.

Microsolena-ები ზედა იურაში *Dimorpharacea-*
ებთან ერთად დიდ განვითარებას აღწევენ. რო-
გორც დაფინახეთ, *Dimorpharaea* გარკვეული *Ana-
bacia*-ს დაკარგირტვის შედეგად არის წარმოშობილი.
რაც შეეხება *Microsolena*-ს, ისიც *Anabacia*-ს ზოგ
ნიშის იმეორებს. მაგრამ ვინაიდან იგი საქმიოდ
რთულ კოლონიას წარმოადგენს, უნდა ვიუიქროთ,
რომ, საწინააღმდევოდ *Diaorpharaea*-სი, იგი უშუა-
ლოდ *Anabacia*-თაგან წარმომდგარი არ არის და
რომ მათ შორის უნდა არსებობდნენ შუალედი გვა-
რები. ასეთ გვარიად შეიძლება *Microsolena*-ზე უფ-
რო პრიმიტიული *Dimorpharaea*-ს მიჩნევა. ცხადია,
რომ ამას არ ეწინააღმდევება ერთსა და იმავე
სართულში შეუცვლელი წინაპრების, როგორც
ერთი შტოს წარმომადგენლების, არსებობაც და
საესებით ბუნებრივია ბათურსა და კალიფორნი
მარტივ *Anabacia*-სთან ერთად მისი გაცილებით უფრო რთული შთამომავლების
პოვნა. *Dimorpharaea*-თა შტოს გამრავლების ხერხის /განვითარებისა და უთუოდ



ნ. ნ. 4

Microsolena Desori Koby-ს
კოლონიის ონტოგენეტური
განვითარება (სერიული
კვეთები)



ნახ. 5

ოჯახ Microsolenidae-ს ფილიალები: I—*Anabacia*, II—*Dimorpharaea*,
III—*Microsolenia*, IV—*Partimeandra*

მისი გართულების შედეგად წარმოიშვა ის ფორმა, რომელიც პირობითად ჩემ მიერ ახალ გვარად არის გამოყოფილი—Partimeandra [1]. ეს უკანასკნელი განსხვავდება Microsolena-თა ოჯახის სხვა გვარებისაგან მეანდრული ქედების არსებობით. ამავე დროს მისი კოლონია ისეთივე ფორმისაა, როგორც ამ ოჯახის სხვა კოლონიური გვარებისა და ცალკე ნიშნებით ჰგავს როგორც Anabacia-ს, ისე Dimorpharaea-ს და Microsolena-ს.

თითოეული ჯგმი თავისი ფორმით ემსგავსება Anabacia-ს წარმომადგენლებს. ზედაპირზე სპირალურად დალაგებული ჯამთა მწყრიევებით იგი Dimorpharaea-ს უახლოვდება. Microsolena-ს წააგავს მით, რომ ზედაპირზე არ აქვს გამოსახული დიდი საწყისი დედა-ინდივიდი, მაგრამ, ყველა ჩამოთვლილი გვარისაგან განსხვავებით, მას აქვს კოლონიის ურთულესი მეანდრული ფორმის ელემენტები მოკლე ქედების სახით. ამ ფორმაში გაყოფა იმდენად სწრაფად და ხშირად მიმდინარეობს, რომ ზოგან ჯამი ვერ ასწრებს დასრულებას და იშვება მისი გაყოფა; აქ დედა-ინდივიდის სეპტაზე ჩნდება ახალი ჯამი, რომელიც ვერ ასწრებს დასრულებას და იკვირტება. ამგვარად, ვღებულობთ გრძელ ქედებისა და მეანდრული ფორმის კოლონიას. საერთოდ ცნობილია, რომ ჰექსაკორალების მეანდრული ფორმები (Meandrarea, Comoseris, Latimeandra) ზედა იურაში ჩნდებიან [10,11]. ბუნებრივია ამიტომ ამ დროისათვის Microsolenidae-ს ოჯახშიც მეანდრული კოლონიის წარმოშობა.

ავტორების უმრავლესობა გვარ Dimorpharaea-ს ამ ოჯახის სისტემატიკური სქემის ბოლოში, ანუ Microsolena-ს შემდეგ ათავსებს (ოგილვი, ბეკერი, სოლომოკო, ციტელი), რადგან მათ Dimorpharaea-ს კოლონია წარმოუდგენიათ როგორც კოლონიის ურთულესი ნაგებობა. მხოლოდ კობიმ [8] მოათავსა ის ამ ოჯახის რიგში მარტივი ფორმის შემდეგ და მით ეს გვარი კოლონიურ გვართა შორის ყველაზე პრიმიტიულ ფორმად ჩათვალა. მაგრამ იგი ეყრდნობოდა მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს, სახელდობრ, იმ გარემოებას, რომ ამ გვარში დიდი დედა-ინდივიდის გარშემო მცირე ინდივიდების რიგები კონცენტრულადა განლაგებული. ამავე ნიშნის მიხედვით Thaminastraeidae-ებში მან გვარი Dimorphastraea Thaminastraea-ზე უფრო პრიმიტიულად ჩათვალა, რაც სინამდებილეს აშკარად არ შეეცემება, რადგან დაკვირტება Dimorphastraea-ში გაცილებით უფრო რთულია. ამრიგად, დაკვირტების თანამიმდევრობის მხედველობაში მიუღებლად და მხოლოდ გარეგნულ ნიშნებზე დაყრდნობით ფილიაციის სურათის აღდგენა ყოველთვის დამატებაყოფილებელ შედეგს არ იძლევა. ჩემი მასალის შესწავლის შედეგად კი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, Dimorpharaea-ს კოლონია მაჩნეულ უნდა იქნეს გარდამავალ ფორმად ამ ოჯახის ცალკეობა და კოლონიურთა შორის და იგი მარტივი კოლონიური ფორმის შშვენიერ მიგალითს წარმოადგენს.

ამრიგად, ყველა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებისა და დაკვირვების მიხედვით საქართველოს Microsolenidae-ბის ფილიაცია ხდება იმ სქემით, რომელიც მე-5 ნახატზე მოცემულია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქტირებული 15.11.1949)

დამოწმებული ლიტერატურა

1. Б. ბ ე ნ დ უ კ ი ძ ე. სემთ რაჭისა და სამხრეთ თხევის ზედა იურული მარჯნები. საქ. მეცნ. აკად. გეოლ. და მინ. ინ-ტის შრომები. გეოლოგ. სერია, ტ. V (X), თბილისი, 1949.
2. ივ. კახაძე. საქართველოს ზუა იურული ფაუნა. საქ. სარ. მეცნ. აკადმიის გეოლ. ინსტიტუტის შრომები, გეოლოგიური სერია, ტ. VI, თბილისი, 1943.
3. С М и л а ш е в и ч. Die Korallen der Nattheimerschichten. Palaeontographica, Bd 21, Lief. 6, Cassel, 1875.
4. Е. С о л о м к о. Die Jura und Kreidekorallen des Krim. Записки С.-Пет. Мин. О-ва, сер. 2, ч. 2, 1888.
5. К. Ц и т т е л ь. Основы палеонтологии, часть I, Ленинград—Москва, 1934.
6. Milne Edwards and I. Haime. A monograph of the British fossil corals. London, 1850—1854.
7. I. G r e g o r y. Jurassic Fauna of Cutch. Mem. Geol. Survey East India, Ser. IX, vol. II, 1900.
8. F. K o b y. Monographie des polipiers jurassiques de la Suisse. Mémoires de la société paléontologique. Suisse, 1888.
9. G. M e y e r. Die Korallen der Doggers von Elsass-Lothringen. Abhandl. z Specialkarte v. Els.-Lothr., Bd IV, H. 5, Strassburg, 1888.
10. H. S w i n n e r t o n. Outlines of palaeontology. London, 1923.
11. W. W e i s s e r m e l. Die Umbilidung der Rugosen in Hexacorallen. Sitzungsber. der Preuss. Geol. Landesanstadt, Heft 2, 1927.

ტექნიკა

ლ. აჩამიძისიანი

სამოქაო ჩამაგრიშის აგზარიშისთვის

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა კ. ზავრიევმა 26.11.1949)

სამოქაო ჩამაგრების ანგარიშისათვის უპირველესია ცოდნა დაძაბულობათა განაწილებისა ჩამაგრებული სხეულის გარშემორტყმულ გარემოში. დაძაბულობათა განაწილების ზოგადი ამოცანა წარმოადგენს დრეკადობის თეორიის რთულ სიტუაცით კონტაქტურ ამოცანას, მისი ამოხსნა დაკავშირებულია საგრძნობ სიძნელეებთან. გარკვეული სქემატიზაცია საშუალებას გვაძლევს ამოხსნათ დასმული ამოცანა პირველი მიმღლოებით.

ბრტყელი ამოცანის დასმა. ვგულისხმობთ, რომ ჩამაგრებული სხეულის გარშემორტყმული გარემო არის უსასრულო ნახევარსიბრტყე ერთი გამორიცხული ζ წერტილით (ფიგ. 1) და თავისუფალი საზღვრით.

ჩამაგრებული სხეული მიიღება ნახევარსიბრტყის გამორიცხულ წერტილიდ, რომელზედაც მოდებულია ამომგდები ძალა \bar{P} . ნახევარსიბრტყის მასალის დრეკადი თვისებები მოცემულია კოეფიციენტით $\chi = 3-4 \mu$, სადაც μ პუსონის რიცვია. საძიებებით დაძაბულობა ნახევარსიბრტყის ნებისმიერ ζ წერტილში. დასმული ამოცანა ამოხსნილია უფრო ზოგადი სახით, მაგრამ მიზანშეწონილი მივიღოთ ეფექტური ამოხსნა ცნობილი [1] მეთოდის საშუალებით.


x ღერძი მიემართოთ ნახევარსიბრტყის საზღვრის გასწრები მარცხნიდან მარჯვნივ, y ღერძი კი გადიოდეს \bar{P} ძალის მოდების ζ წერტილზე.

აღნიშნოთ \bar{P} ძალის გეგმილები X , Y -ით, ხოლო h -ით—მანძილი ζ_0 -იდან ნახევარსიბრტყის საზღვრამდე.

მაშინ ამოცანა მიიყვანება [1] კომპლექსური ცვლადის ორი ფუნქციის მონახვამდე, რომელიც ჰოლომორფული არიან ქვედა ნახევარსიბრტყეში გამორიცხული წერტილით $\zeta_0 = -ih$,

$$\Phi(\zeta) = -A \frac{i}{\zeta + ih} + \Phi_0(\zeta),$$

$$\Psi(\zeta) = \bar{A} \frac{i}{\zeta + ih} - ihA \frac{i}{(\zeta + ih)^2} + \Psi_0(\zeta), \quad (1)$$



ნახ. 1

სადაც

$$A = \frac{X+iY}{2\pi(1+\kappa)}.$$

$\Phi_0(\zeta)$ და $\Psi_0(\zeta)$ ფუნქციები კი ჰოლომორფულნი არიან ქვედა ნახევარ-სიბრტყეში ჯ-ის ჩათვლით. ისინი განისაზღვრებიან საზღვარზე დაძაბულობათა სულთან ტოლობის პირობიდან

$$Y_y + iX_y = \Phi(x) + \bar{\Phi}(x) + x\Phi'(x) + \Psi(x) = 0.$$

თუ გამოვიყენებთ [1] მეთოდის § 69 და § 81-ის ფორმულებს, აღვილად მივიღებთ Φ_0 -ისა და Ψ_0 -ის მნიშვნელობებს (1)-ში:

$$\begin{aligned} \Phi_0(\zeta) &= \kappa A \frac{i}{\zeta - ih} - 2iAh \frac{i}{(\zeta - ih)^2}, \\ \Psi_0(\zeta) &= \bar{A} \frac{i}{\zeta - ih} - i\kappa Ah \frac{i}{(\zeta - ih)^2} - 2i\bar{A}h \frac{i}{(\zeta - ih)^2} + 4\bar{A}h^2 \frac{i}{(\zeta - ih)^3}. \end{aligned} \quad (2)$$

თუ აღვინიშნავთ

$$\Phi(\zeta) = A_1 + iB_1, \quad \Psi(\zeta) = A_2 + iB_2, \quad \bar{\Phi}(\bar{\zeta}) = A_3 + iB_3,$$

აღვილად მიიღება შთაგარი გამჭიმავი დაძაბულობა კ წერტილში:

$$\sigma = 2(A_1 + V(A_2 + A_3)^2 + (B_2 + B_3)^2). \quad (3)$$

იმისათვის, რომ გისარგებლოთ უკანასკნელი ფორმულით, აუცილებელია გამოვითვალოთ გამოსახულებები 2A₁, A₂+A₃ და B₂+B₃, თუ გამოვალთ Φ და Ψ -ის კონკრეტული მნიშვნელობებიდან (1)-ის მიხედვით და მხედველობაში მივიღებთ Φ_0 -ს და Ψ_0 (2)-დან.

შემთხვევაში მნიშვნელოვან შემთხვევაზე, როცა ამოძგდები ძალვა \tilde{p} მი-მართვლია გარემოს საზღვრის მართვული, ე. ი. $\theta = 0$ (ფიგ. 1).

ელექტრომარქული გამოთვლები გვაძლევს:

$$\begin{aligned} 2A_1 &= -\frac{p}{h} \frac{2}{2\pi(1+\kappa)} [k \cos \varphi - \kappa k_1 \cos \varphi_1 - 2k_1^2 \cos 2\varphi_1], \\ A_2 + A_3 &= -\frac{p}{h} \frac{i}{2\pi(1+\kappa)} [\kappa k \cos \varphi - k \cos 3\varphi - k_1 \cos \varphi_1 \\ &\quad + 2(\kappa - 1)k_1^2 \cos 2\varphi_1 + (8k_1^2 - \kappa)k_1 \cos 3\varphi_1 - 4k_1^2 \cos 4\varphi_1], \\ B_2 + B_3 &= -\frac{p}{h} \frac{i}{2\pi(1+\kappa)} [\kappa k \sin \varphi + k \sin 3\varphi + k_1 \sin \varphi_1 - 2(\kappa - 1)k_1^2 \sin 2\varphi_1 \\ &\quad - (8k_1^2 - \kappa)k_1 \sin 3\varphi_1 - 4k_1^2 \sin 4\varphi_1]. \end{aligned} \quad (4)$$

ამ

$$k = \frac{h}{r}, \quad k_1 = \frac{h}{r_1}.$$

მნიშვნელობები r , φ , r_1 და φ_1 ცხადია ფიგ. 1-დან.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რეალურ გარემოში ჩამაგრებული სხეულის ამოგდების დროს, რომელიც საგარისის მიახლოებით შეგვიძლია ჩავთვალოთ დრეკადად (ქვა, ბეტონი და სხვა), რლვევა იწყება გარემოს მისალაში დაუშევებლიდ დიდი გამჭიმავი დაძაბულობების წირმოზობის შედეგად. რლვევის ასეთი მიხეზი იმით აისხება, რომ გარემოს რეალური მისალისათვის დროებითი წი-

Наиболее распространено газотомографическое измерение с агрегатом в виде цилиндрического сосуда с коническим дном и сферической крышкой, имеющей отверстие для выхода газа. Воздух вытесняется из сосуда, и давление в нем определяется по формуле

где μ — коэффициент изотермического расширения газа; T_1 и T_2 — температуры измерения в градусах Цельсия; P_1 и P_2 — давления в атмосферах; V_1 и V_2 — объемы газа в сосуде при температурах T_1 и T_2 .

График 1

$$\text{График 1} \quad \frac{\mu}{10} = \frac{T_1 - T_2}{T_1} \cdot \frac{P_2}{P_1}$$

μ	φ	0°	30°	60°	90°	120°
0,2		$0,28 \frac{p}{h}$	$0,96 \frac{p}{h}$	$1,21 \frac{p}{h}$	$1,76 \frac{p}{h}$	$1,98 \frac{p}{h}$
0,1						$1,96 \frac{p}{h}$
0,3						

μ	φ	130°	135°	140°	145°	150°	180°
0,2		$2,23 \frac{p}{h}$	$2,28 \frac{p}{h}$	$2,29 \frac{p}{h}$	$2,27 \frac{p}{h}$	$2,02 \frac{p}{h}$	$1,77 \frac{p}{h}$
0,1		$2,20 \frac{p}{h}$	$2,25 \frac{p}{h}$	$2,25 \frac{p}{h}$	$2,24 \frac{p}{h}$		
0,3		$2,28 \frac{p}{h}$	$2,37 \frac{p}{h}$	$2,39 \frac{p}{h}$	$2,37 \frac{p}{h}$		

График 2

$$\text{График 2} \quad \frac{\mu}{5} = \frac{T_1 - T_2}{T_1} \cdot \frac{P_2}{P_1}$$

μ	φ	135°	140°	145°
0,2		$1,21 \frac{p}{h}$	$1,23 \frac{p}{h}$	$1,92 \frac{p}{h}$

График 3

$$\text{График 3} \quad \frac{\mu}{2} = \frac{T_1 - T_2}{T_1} \cdot \frac{P_2}{P_1}$$

μ	φ	130°	140°	145°	150°
0,3		$0,567 \frac{p}{h}$	$0,594 \frac{p}{h}$	$0,593 \frac{p}{h}$	$0,579 \frac{p}{h}$

გამოანგარიშება (ცხრილები 1, 2, 3) ჩოჭმობს, რომ გამჭიმავი დაძაბულობა σ თავის უდიდეს მნიშვნელობას აღწევს კ და კ წერტილებზე, რომლებზეც განისაზღვრებიან კუთხით

$$\varphi \approx 140^\circ.$$

შეიძლება გაჩენოთ, რომ ეს კანონი სამართლიანია ყველა

$$r \equiv \frac{I}{2} h \text{ სთვის. ცხადია, რომ}$$

ზუსტი მნიშვნელობა ფ კუთხისა, როდესაც $\sigma = \sigma_{max}$, დამოკიდებულია r -ზე და აგრეთვე პუსანის კოეფიციენტზე μ . მაგრამ ასეთ დაზუსტებას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგანაც, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი მაქსიმუმის მახლობლად ი მეტია მეტად ნელა იცვლება.

დავუშვით, (4) ფორმულებში $\varphi = 140^\circ$, მაშინ (3) ფორმულა $\sigma_{max} = \frac{p}{h} \cdot \sin \varphi$ ასე ჩავწეროთ:

$$\sigma_{max} = a \frac{p}{h}. \quad (5)$$


კოეფიციენტი a დამოკიდე-

ბულია $k = \frac{h}{r}$ -სა და μ -ზე. a -ს რეალური მნიშვნელობები მოყვანილია მე-4 ცხრილში, რომლის საფუძველზედაც აგებულია გრაფიკი (ფიგ. 3) a -ს მნიშვნელობანი:

ცხრილი 4

k	2	5	10	20	40
$\mu=0,1$	0,588	1,21	2,25	4,35	8,54
$\mu=0,2$	0,594	1,23	2,29	4,40	8,67
$\mu=0,3$	0,612	1,28	2,39	4,67	9,04

a -ს მნიშვნელობათა გრაფიკი k -ს მნიშვნელობათათვის 2-დან 40-მდე და μ -თვის 0,1-დან 0,3-მდე სწორ ხასის უახლოვდება. აქედან გამოდინარე იდგოლი დასახია, რომ საკმარისი სიზუსტით შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ როდესაც $k \leq 2$,




ნაბ. 2

სამოქაო ჩამაგრების ანგარიშის თვე

$$\begin{aligned} a &= 0,209 k + 0,17 \quad (\mu = 0,1), \\ a &= 0,212 k + 0,17 \quad (\mu = 0,2), \\ a &= 0,221 k + 0,17 \quad (\mu = 0,3). \end{aligned} \quad (6)$$

აქამდე გარემოს კოვლილით უწონადად, ხოლო მისი ზედაპირი წნევისა-გან თავისუფლად მიგვაჩნდა. ცხადია, რომ წნევა გარემოს ზედაპირზე და მისი



ნახ. 3

წონა შექმნიან გარემოში გარკვეულ „საჭყის“ შემცუმშავ დაძაბულობებს და ამით საგრძნობლად შეუძლიათ გააუმჯობესონ სამოქაო ჩამაგრების მუშაობის პირობები.

ჩათვალით, რომ გარემოს იმ ნაწილის წონა, რომელიც ჩამაგრებულ სხეულზე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გარემოს ზედაპირზე თანაბრად განაწილებულ წნევად. q -ით აღნიშნოთ გარემოს ზედაპირზე შეჯამებული წნევა.

თუ გამოვიყენებთ ს 81 ა-ს ფორმულებს [1], ადგილია ჩვენება, რომ ასეთი დატვირთვა გამოიწვევს გარემოს ყოველ წერტილში დაძაბულობას:

$$\begin{aligned} X_x^{(0)} &= -q, \\ Y_y^{(0)} &= -q, \\ X_y^{(0)} &= 0. \end{aligned}$$

თუ ერთდროულად კ წერტილში იქნება მიღებული იმომგდები ძალვა $\tilde{\sigma}$, მაშინ მთავარი დაძაბულობა კ წერტილში იქნება:

$$\sigma' = \sigma - q.$$

აქედან

$$\sigma_{max} = \sigma_{max} - q. \quad (7)$$

ბრტყელი ამოცანისათვის მივიღოთ შემდეგი საანგარიშო სქემა.

გარემოში გარკვეულ სილრმეზე ზედაპირის პარალელურად ჩამაგრებულია გრძელი, ხისტი ცილინდრული სხეული.


დატვირთვა გარემოს ზედაპირზე $-q$, სხეულის განივი კვეთის რადიუსი $-r$, სხეულის სიგრძე $-l$.

სხეულის ამოგდება ხდება \bar{P} ძალით. გამოვყოთ ორი ვერტიკალური განივი კვეთით სხეულისა და გარემოს სიგრძის ერთეული (ფიგ. 4).

ამომგდები ძალვა, რომელიც მოდის სიგრძის ერთეულზე (ფიგ. 4)

$$p = \frac{P}{l}.$$

ვეულისხმობთ, რომ სხეულისა და გარემოს შეხების წერტილებში დაბულობები ისეთია, როგორც იქნებოდნენ ისინი, რომ გარემო ყოფილიყო უშე-
უცირი, ხოლო ძალვა შ—მოდებული გა-
ნივი კვეთის ჯ ცენტრში.



ნახ. 4

რვევევა დაიწყება გაჭიმვისა და ბზარების შექმნისაგან უფრო მეტი და-
ბაბულობის წერტილებში ჯ და ჯ.

ამგვარად, თუ R_d არის დასაშევები ძაბვა გარემოს მასალის გაჭიმვაზე, მა-
შინ აუცილებლად უნდა მოვითხოვთ, რომ ჯ და ჯ წერტილში სხეულის ზედაპირზე

$$\sigma'_{\max} \leq R_d. \quad (8)$$

თანახმად (5) და (7),

$$\sigma'_{\max} = a \frac{P}{hl} - q.$$

თუ ჩაესვამთ (b)-ში, მივიღებთ:

$$a \frac{P}{hl} \leq R_d + q.$$

თუ სიმტკიცის მარაგად მივიჩნევთ a -ს მნიშვნელობას, მაშინ

$$\left(0,221 \frac{h}{r} + 0,17\right) \frac{P}{hl} \leq R_d + q.$$

აღვნიშნოთ

$$\sigma_{\theta_3} = \frac{P}{2rl}, \quad \sigma_{\theta_4} = \frac{P}{2hl};$$

σ_{θ_3} საშუალო მკუმშავი ძაბვაა სიმოკაოზე,

σ_{θ_4} საშუალო მხები ძაბვაა ჭრის ზედაპირზე.

საბოლოოდ მივიღებთ გამოსათვლელ ფორმულას:

$$\sigma_{\theta_3} \leq 2,26 (R_d + q) - 0,76 \sigma_{\theta_4}. \quad (9)$$

შევნიშნოთ, რომ მოყვანილი საანგარიშო სქემა წარმატებით გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა რღვევის მიზეზია დაუშვებლად დიდი გამჭი-
მავი დაბაბულობები გარემოს მასალაში.

თუ ამომგდები ძალვა მოქმედებს არა გარემოს ზედაპირის პერპენდიკუ-
ლარულად, არამედ რაღაც მცირე კუთხით 0, მაშინ, ცხადია, ფორმულა (9)
გამოიყენება სიმტკიცის ერთგვარი მარაგით.

სამოკაო ჩამაგრების სიერცითი ამოცანის ანგარიში შეიძლება ამოვსხნათ,
თუ გამოვალთ უხეში მიახლოებით წინას ანალოგიური სქემიდან, იმ განსხვა-

ვებით მხოლოდ, რომ აუცილებელია ჩივთვალოთ ჩამაგრებული სხეული სფეროს ფორმის მქონედ.

ბრტყელ ამოცანაში ძალვა \bar{P} და ძაბული სხეულის ფენის ორ ერთეულს ეთანადებოდა (ფიგ. 4, კ₁ და კ₂ წერტილებში ნახაზის შევნით), აქ (ფიგ. 5) დაძაბულ ფენას აქვს სიგრძე

$$2\pi r \sin 40^\circ = 2\pi r \cdot 0,643.$$

მაშისადამე, თუ P არის საერთო ამომგდები ძალვა, მაშინ უნდა ჩივთვალოთ, რომ

$$\bar{p} = \frac{P}{\pi r \cdot 0,643} = 1,55 \frac{P}{\pi r},$$

თუ ჩაგვამთ (5), (7) და (8)-ში, წინასანალოგიურად მივიღებთ გამოსაანგარიშებელ ფორმულას:

$$\sigma_{\theta_3} \equiv 2,91 (R\varrho + q) - 1,53 \sigma_{\theta_5}.$$

აქ

$$\sigma_{\theta_3} = \frac{P}{\pi r^2} \text{ და } \sigma_{\theta_5} = \frac{P}{2\pi rh}.$$


აქვთ იგივე აზრი, რაც წინაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის
თბილისის რეინიგზის საინჟინრო
ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 20.12.1949)

დამოწმებული ლიტერატურა

1. Н. И. Мухелишивили. Некоторые основные задачи теории упругости.
Москва, 1935.



ნაზ. 5

(10)

ბოტანიკა

ზალცა კაცლელაპი

პოპულაცია „ზალცას“ სახითა გენეტიკური ურთიერთობის
საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. სოსნოვკიმ 2.1.1950)

ხორბლის გვართა სისტემაში ორ უძველეს კულტურულ სახეობას—
R. monococcum L-სა და *Tr. Timopheeti* Zhuk-ს თავისებური იღვილი უკავია.
ესენი გენეტიკურად განკურძობულია როგორც ერთმანეთის, ისე ხორბლის
სხვა კულტურულ სახეობათაგან.

ეს ურთიერთისაგან დაშორებული სახეობები ერთად შერეული ითესება,
„ზანდურის“ სახელწოდებითა ცნობილი და მთელი რიგი მორფოლოგიური
ნიშნებით ერთმანეთს უახლოვდება [7].

ზოგიერთი მორფოლოგიური ნიშნის ერთობლიობამ და მათ შორის გეო-
გრაფიული გათიშვის არარსებობამ დაბადა აზრი [6], თითქოს *Tr. Timopheevi*
წარმოადგენდეს *Tr. monococcum* v. *Hornemannii*-ის პოლიბლოიდურ ფორმას.
ამებამად ეს შეხედულება უკავდებულია, ვინაიდან *Tr. Timopheevi*-ის ახლო
გენეტიკური კავშირი *Tr. chalidicum*-თან [4,5] უკვე საესებით დამტკიცებულად
ითვლება, ხოლო *Tr. monococcum*-ის უახლოესი წინაპრები ველური ცალმარ-
ცალ ხორბლებია [3].

ხორბლების ფილოგენეზის შეცნობის შიშნით საჭირო იყო ამ სახეობათა
შორის გენეტიკურ ურთიერთობათა დაწულებება.

ვალგენით რა *Tr. monococcum*-ის განცალკევების ხარისხს (სახეობათა
შორის შეჯვარების ჩატარებით), ჩენ შესაძლებლობა გვეონდა დავრწმუნებუ-
ლიყავით იმაში, რომ *Triticum monococcum*-ის ნაირსახეობათაგან ერთი, სახელ-
დობრ *Tr. monococcum* v. *Hornemannii* თუმცა *Tr. Timopheevi*-სთან შეჯვა-
რებისას გვაძლევს სტერილურ ჰიბრიდებს, მაგრამ ამ სახეობას იმდენად ადგი-
ლად უჯვარება, რომ ქმნის ბუნებრივ ჰიბრიდებს, რის შესაბაც შესაფერი
მითითებები ლეტერატურაშიც მოიპოვება [2,3]. *Tr. monococcum* v. *Hornemannii*-ს
ადვილად შეჯვარების უნარმა *Tr. Timopheevi*-სთან განსაზღვრა ამ ნაირსახეო-
ბის შეჩევა შეჯვარებათა კომპონენტად.

როგორც ცნობილია, *Tr. mon.* v. *Hornemannii*-ს თავთავის ქვემო ნაშილ-
ში წყვილმარცვლიანი თავთუნები ახასიათებს.

ჩვენი დაკვირვებით წყვილმარცვლიანი თავთუნების მასობრივი გაჩენა ამ
ნაირსახეობაში განვითარების გენერაციული ფაზის ხანგრძლიობასთანაა და-

კაცშირებული, რაც, თავის მხრივ, დაკაცშირებულია თავთავის ჩასახვისა და განვითარების დროს არსებული დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებასთან.

ასე, მაგალითად, ცივი განაფხულისა და გრილი წვიმიანი ზაფხულის პირობებში *Tr. mon.* v. *Hornemannii*-ის (ბაკურიანში დათესილი 1944 წ. 4 მაისს, 1820 სიმაღლეზე ზღვის დონიდან) წყვილმარცვლიანი თავთავების რაოდენობა ზეადგენდა ცალმარცვალა თავთავების 43,6% ს, მაშინ როდესაც თბილისის პირობებში წყვილმარცვალა თავთავების რაოდენობა 7,9% ს უდრიდა.

Tr. monococcum v. *Hornemannii* Clem. და *Tr. Timopheevi* v. *viticulosum* Zhuk. პიბრიციშიციის პროცესში (ორივე ნაირსახეობა დასავლეთ საქართველოდანაა) შემჩნეული იყო შემდეგი: შეჯვარების წარმატების პროცენტი გაცილებით მაღალი აღმოჩნდა, როცა დედად ან მამად გამოყენებული იყო *Tr. mon.* v. *Hornemannii*-ს თავთავები განვითარებული წყვილყვავილთა თავთუნებით.

დამოუკიდებლად იმისა, *Tr. monococcum* დედა მცენარეს წარმოადგენდა თუ მამა მცენარეს, შეჯვარების შედეგებმა საგრძნობლად გადააჭარბა იმ თავთავების შეჯვარების შედეგებს, რომლებსაც განვითარებული ჰქონდათ მხოლოდ ცალყვავილა თავთუნები (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

შეჯვარება	დამტევრილ ყვავილთა რაოდენობა	გამონასკვული თესლების რაოდენობა	შეჯვარებითობის %
1. <i>Tr. mon.</i> v. <i>Hornemannii</i> × <i>Tr. Tim.</i> v. <i>viticulosum</i> (ცალყვავილიანი თავთუნებით) რეცეპტორული	470 155	20 11	4,2 7,0
2. <i>Tr. mon.</i> v. <i>Hornemannii</i> × <i>Tr. Tim.</i> v. <i>viticulosum</i> (წყვილყვავილიანი თავთუნებით) რეცეპტორული	680 447	140 85	20,59 19,2

გარდა ამისა, საყურადღებოა აგრეთვე ამ ორი სახეობის შეჯვარების შედეგები სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

შეჯვარება	გეოგრა- ფიული პუნქტი	დამტევრილ ყვავილთა რაოდენობა	გამონასკვული თესლების რაოდენობა	შეჯვარებითობის %
1. <i>Tr. mon.</i> v. <i>Hornem.</i> × <i>Tr. Tim.</i> v. <i>vitic.</i> რეცეპტორული	თბილისი 1944 წ.	149 117	35 20	23,4 17,0
2. <i>Tr. mon.</i> v. <i>Hornem.</i> × <i>Tr. Tim.</i> v. <i>vitic.</i> რეცეპტორული	ბაკურიანი 1944 წ.	319 338	96 195	30,0 57,6

ପ୍ରକାଶିତ ଲାଇସେନ୍ସ ନମ୍ବର ୫୯୩

ბაკურიანის პირობებში წლითიწლობით *Tr. Timophecevi*-ს მტკრით *Tr. mon. v. Hornemannii*-ს დამტკერვისას ჩვენ ვღებულობდით შეჯვარების მაღალ პროცენტს, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში (ამა თუ იმ თავთავზე) 91—97% -ს უდრიდა, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ [1,7] შეჯვარების პროცენტი მაღალია, თუ დედა ფორმაა *Tr. monococcum*.

მოყვანილი ორი ცხრილიდან ჩანს, რომ შეჯვარებათა ეცემეტურობა საგრძნობლადაა დამკიდებული კომპონენტთა ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე.

უნდა აღინიშვნოს აგრძელებული რომ, თუმცა ჰიბრიდთა სიცოცხლისუნარიანობას შეჯვარების მაღალი პროცენტი ჯერ კიდევ არ აძირობებს, მაგრამ აღნიშნული კომპონენტების შეჯვარებათა დიდ უმეტესობაში ჩვენ მივიღეთ სრული მარცვლები, რომელთაგან განვითარდა, მართალია, უნაყოფო, მაგრამ მძლავრი, ე. წ. განვითარების ჰერეროზისული ტიპის მცენარეები.

შორეულ ჰიბრიდიზაციის თან იხლავს მოკლენები, რომლებიც გამოსახავს შეჯვარებათა კომპონენტების დაშორების ხარისხს. თუ მათ განვაწყობთ კლებადი ხარისხით (შეჯვარებათა შორეულობის თვალსაზრისით), ჩვენ შეგვიძლია განვითარების თთოლეულ ტასს მიეცეთ შეფასება ბალგბის სისტემით. ამ შემთხვევაში ჩვენს სქემაზე შესაჯვარებელ სახეობათა სიახლოესი უდიდესი ხარისხი გამოიხატება შვიდით, ხოლო უმცირესი — ერთით.

შეჯვარების უნარი უდრის 0-ს	—1
განვითარებულ თესლებს ჩანახაზ არა აქვთ	2
ბური ან სრული მარკულები ძლიერა აღმონაცემს, რომელიც	

ମାଲ୍ଯ ଇଲ୍ଲୁପ୍ରେଦ୍ବା 3
ସର୍ବଲିଙ୍ଗ ଟେଲ୍ସଲି ଇଲ୍ଲୁପ୍ରେତ୍ତା ସାଲ, ମାଗରାମ ଶ୍ରଦ୍ଧାଗୋଟିଏ ମୃକ୍ଷନାର୍କ୍ଷେପଣ 4
ପରିମଳା ହେବାରେ ୫ ବିଭିନ୍ନ ପ୍ରକାର ମିଶନ୍‌କ୍ଷେତ୍ରରେ ଜୀବିତାବଳୀ

იმავე პირობებში, გარემოს სხვა პირობებში იცვლება არა მატო შეჯვარების წირ მატებულობა, არამედ მარცვლების სისრულე და თვით მათი სიცოცხლის-უნარიანობაც (იხ. ცხრილი 3).

ჩევის სქემით შეჯარება *Tr. mon. v. Hornemannii*-ს *Tr. Timopheevi* *v. viticulosum*-თან იღებს შეფასებას „4“, რაც იმაზე მიგვითოვებს, რომ, *Tr. Timopheevi*-ისა და *Tr. monococcum*-ის ურთიერთლაბორიდებულების შესახებ ზემო-

⁽¹⁾ უკანასკნება გამოწვეულია მით, რომ სამტკრე პარკებში 98%-ზე მეტი აბორტული მდებურია, რის გამო სამტკრე პარკები არ სკოდება.

തൃശ്വലിംഗം മിഉഖേദാവാറു, ഇം ശൈഖ്യാർജ്ജോഡാ എൻ ഗാറ്റിംഗ് ശൈഖ്യാർജ്ജോഡാതാ ഫാർഗ്ഗലേ-
ഡിറ്റാൻ, അമബാസതാൻ ഇന്ത്രാറു ഇം ബാസിറ്റാറേഡാ താവിസേഡുരി നിശ്ചിഭിത: മാംഗലി അർമ്മപ്പേ-
ണ്ടിഡിം ചുനാർഡിം മീന്റേ കിഡ്രിഡുലും മാർപ്പലേഡിം കാരുഗി ഗാഞ്ജിതാർജ്ജോഡിം ദാ തിര-
ഡേലിം താമഡിം സ്റ്റീറ്റിലുൾ കിഡ്രിഡുതാ ഗാഞ്ജിതാർജ്ജോഡിം ശ്രേത്രീരാഥിഡുശുലി റിപ്പിത.

അമബാസതാൻ കീവേൻ പ്രാജ്യിരിഡേബന്റിട കിഡ്രിഡുലേഡിം താമഡിം സ്റ്റീറ്റിലുൾ കിഡ്രിഡേ-
ഡിഡിംഗാഡിം നായുന്തോഇരു ഫോർമിഡിം ചിംഗമുഖിമിംബാം. ആഡു, മാഗാലിംതാറു, മാർപ്പേലു താമഡിം
കീവേലുഡേരിം സബ്സേഡിം സ്റ്റീറ്റിലുൾ താവിസേഡിം പ്രാജ്യിരിഡേഡിം ബാശുലി ഒപ്പു
ഒപ്പുലിം മാർപ്പുലേഡിം: ഇന്ത്രാ മാർപ്പുലിം 1942 ചുംബി ദാ നാരി മാർപ്പുലിം 1946
ചുംബി. പ്രാജ്യാലു ശ്രേത്രീരാഥിഡിം മാർപ്പുലേഡിം ബാശുലിം സിംഗു കിഡ്രിഡേഡിം, റോമ്മലേഡിം
മിഡ്രെഡുലിം ശ്രേത്രീരാഥിഡിം, സാഡാപു ലൈഡാ മുപ്പേരു ത്ര. *Timophtheevi* ഒപ്പു.

മുപ്പേമുള്ള ശ്രേത്രീരാഥിഡിം ചിംഗിലിം ഏകേ മിംഗുഡേലു സാഖേമഡാതാ മേമ്പേയിഡ്രേബിം
ക്രൊമ്പേരുഡേരിഡുലുംഡിം ഡാർഡേഡിം കിഡ്രിഡുലും നുരഗാബനിഡിംബിം മീഡു. അഡു. ലിംസേബ-
നും സ ചിംഗുലേഡിം നുരഗാബനിഡിംബിം തിത്രുഡുലും ചുംഗുരുഡേഡിംഗാബിം ഗാഞ്ജി-
ഡേരാഡിം മേമ്പേയിഡ്രേബിംബിം തുവിസേഡേരിം. ചുംബി, റോമു ദാ ഉള്ളരു മേത്രാപു ദേഹാ-
കിഡ്രിഡുലും നുരഗാബനിഡിംബിം, റോമ്മലുംഡിം പ്രിമുലേഡിംബിം ഗാഞ്ജേതിഡുരു നാിരുഗാബനഡാ
ഗാഡ്രോരുഡുലിം മേമ്പേയിഡ്രേബിംബിം തുവിഡിം ശ്രേരുപ്പേരിനു.

ഗാഞ്ജേതിഡുരു നാിരുഗാബിം പ്രിമുലേഡിംബിം നീവുതിയേരാഡാതാ ചുംഗിം ക്രൊമ്പേബേം
ബിംഗാഡാബിംഗാബാറാഡ മിഠുഡിംബാഡുംബിം, ബാംഗാഡിം നീവുതിയേരാഡാതാ ചുംഗിം ചുംഗുലേഡാംഗാബാ-
ചിംഗമുശുംബിം കിംരുബേഡിംബിം, റോമ്മലുംഡിം ശ്രേഡുലേഡുംബിം കിഡ്രിഡുലും നുരഗാബനിഡിംബിം
സിന്റുലുംബിംബാഡിംബിം ലാഡുഗ്ഗാബിം.

കീവേൻ ചുംഗുഡിം ശ്രേരുഡും കിഡ്രിഡേരിംഗുഡിംബിം നായുന്തോഇരു കിഡ്രിഡും ക്രൊമ്പേ-
ബിംഗാഡാബിംഗാബാറാഡ മിഠുഡിംബാഡുംബിം (കിഡ്രിഡും നേ 1) കിംരുബേഡാഡ 1943 ചി. ചിംഗമുശുംബിം,
ഗാഞ്ജേരുഡേരിം കീ—1946 ചി., ബാംഗാഡിം ചുംഗാഡിംബിം മീഡു നുരഗനുരു ത്ര. *Timophtheevi* × *Tr. monococcum*-ഡിം ഭുംബേരിഡും കിഡ്രിഡും ഗാമുപ്പുരുഡും ഒപ്പു ചീംഡാ ചീംഡുരുഡും
നാംതേശ്വേഡിംഡാ (ഡി. *Tr. monococcum* ദാ *Tr. Timophtheevi*-ഡാഗാഡിം ശ്രേമുഗാരി ക്രുംഗുലാപു-
റിഡാം).

നായുന്തോഇരു കിഡ്രിഡും കിഡ്രിഡേരിംഗുഡിംബിം നീവുതിയേരാഡാതാ *Tr. Timophtheevi* ക്രൊമ്പേബിംബിം
താബാഡാരിം റാംഗുഡുംബിം (ഡി. ഓ. 28) കീവേൻ മീഡു ഗാമുപ്പുരുഡും ഒപ്പു 1946 ചുംബി
(കിഡ്രിഡും നേ 2). മുതേലും നുരഗി നുരഗനുരു ഫോഡിംഗുഡുരു, സിം മുന്റുന്നുംഗുഡുരു
ബാഡാഡിംഗാഡാബാഡ അബുഗുഡും ചിംഗമുശുംബിംബിം നായുന്തോഇരു കിഡ്രിഡും മാനി
ചിംഗമുശുംബിംബിം കിംഗുഡുംബിം താമഡിം സ്റ്റീറ്റിലുൾ കിഡ്രിഡും മാനി
ഗാഞ്ജേരുഡേരിം ലാംഗുതാവേഡിം ചുംഗുഡും, ചുംഗുഡും, ചുംഗുഡും ചുംഗുഡും സിം-
ഗിംഗിം ദാ ശ്രേത്രീരുഡും, താവിസേഡിം മുതേലും നുരഗി നിശാന്തവുഡുംബിം, ക്രൊമ്പേബിംബിം
രാംഗുഡുംബിം—നുരഗനുരു മുന്റുന്നുംഗുഡുംബിം, സിം കിഡ്രിഡും താമഡിം കിഡ്രിഡും
ഡാഗാബിം.

മേസാർജു ചുംഗുഡും മുപ്പുബനിഡിം മുന്റുന്നുംഗുഡും നായുന്തോഇരു കിഡ്രിഡുംബിംബിം നിശാന-
തുവിഡുംബിം ചുംഗുലേഡാംഗാബിം ശ്രേബാഡും (ചിംഗമുശുംബിംബിം 1946 ചി.) മുന്റുന്നുംഗുഡും
ഡാ ചുംഗുഡും കിംഗുഡും താമഡാബാഡ ശ്രേഡുംഗുഡും.

അഡു കിഡ്രിഡുംബിം മുപ്പുബനിഡിം താമഡാബാഡ മുമ്പരുഡും ചുംഗുഡും ഒപ്പു 1948 ചുംബി. മേന്തു
താമഡിംബിം (കിഡ്രിഡും നേ 2) അബാഡിംഗാഡാബാഡ, റോമു നുരഗനുരു തുവിതഡാമ്പിംഗുഡു-
റിഡാം.

ცხრილი 3

ნიმუში	<i>Tr. Timotheei v. triticeum</i> Q	<i>Tr. monococcum</i> v. <i>Hordeum</i> ♂			პირველი დამას უნდოვო კიბრიდი			ნაყოფილი კიბრიდი № 2—			ნაყოფილი კიბრიდი № 1—		
		lim	M	lim	M	lim	M	lim	M	lim	M	lim	M
შენინოს სიჩალუ ჭირულება	91—123	109,5	66—130 სუსტი ორისტი	109,5	98—130 სამალი ტოსტი	117,3	77 ტლიური	—	—	112 ტლიური	—	—	—
თავისავს ჭირნა სიჩალუ	9,2—11,8	10,76	7,4—11,2 7,6—11,2	9,0	6,1—7,6	6,8	9,4—11,5	9,1	11,0—12,5	11,6	—	—	—
თავისავს სიჩალუ ტავისავს სიჩალუ	61—71	65,5	71—121 15—2,8	87,4	82—102	88,7	66—84	77,3	69—81,0	77,0	—	—	—
თავისავს ლენას სიგრძე	1,8—2,3	2,1,8	2,1—2,8	2,1	2,2—3,1	2,8	2,8—3,5	3,2	2,1—3,1	2,8	—	—	—
შენი სიგრძე	84—97	91,3	7—116	9,96	75—124	106,9	66—99	82,6	45—51	55	—	—	—
სიგრძე	38—42	39,3	39,1—53	4,46	31—39	33,8	27,3—32,4	29,9	33,3—34,7	34,2	—	—	—
ცავის სიგრძე	1,2—1,7	1,0,9	0,89—1,64	—	—	—	0,047—0,74	0,047	0,66—1,28	1,28	—	—	—
ცავის სიგრძე	10,1—11,2	10,6	8,4—10,9	9,4	8,7—11,3	10,2	9,2—10,1	9,9	9,9—10,7	10,2	—	—	—
თავისავს სიგრძე	3,2—4,9	3,6	2,3—3,7	3,0	2,5—3,7	3,5	3,8—4,8	4,4	3,3—5,1	4,7	—	—	—
თავისავს ბილის სიგრძე	1,0—1,7	1,37	1,3—1,7	1,5	0,9—1,6	1,3	2,8—3,8	3,7	1,6—1,9	1,7	—	—	—
ბილის სიგრძე	7,0—8,3	7,6	6,2—8,2	7,3	—	—	7,1—9,3	8,4	9,7—10,1	9,9	—	—	—

შენი რენა: ცხრილი შემდეგი

სათვის იზოლირებული თავთავის თესლიდან გაზრდილმა, ისე შერჩევითი დამტკერების შესაძლებლობის მქონე მცენარეთა ოსკლიან მიღებულმა მცენარეებმა მოვცეს განსხვავება კბილანის სიგრძეში, დათავთავების ვადებში, თავთავისა და მტკრიანების შეფერგაში, სანთლიანობაში, ფოთლის შეფერგაში, თავთავის აპელს სიხიტეში, მაგრამ ყველა მცენარე მცუვნობდა შუალედი ჰიბრიდების ტიპს ან აბლო იყო *Tr. Timothee-tri-s* ტიპთან.

ყველა ფორმა მტკრევადი და კიბრიანი აღმოჩნდა. ჯერ კადევ ყველილობის სტადიაში ჩენ მიერ შემნეულია, რომ ცალკეულ მცენარეებს გენერაციული ორგანოები სრულიად განუვითარებელი იქვთ, ე. ი. თავთავის არც ერთ ყვავილში არ არის მტკრიანები და ბუტკო. 35 მცენარიდან 11 მცენარე გენერაციული ორგანოების ანომალური განვითარების შედეგად სრულიად უნაყოფო იყო. ამ ჰიბრიდის ნაყოფიერ მცენარეთა პროდუქტიულობა მეტყობდა 1,09—1,42 შორის, აქარბებდა რა პირებული თაობის ნაყოფიერი ჰიბრიდის პროდუქტიულობას.

ქრომისომათა ორმაგი რაოდნენობის შემნე ჰიბრიდი (ჰიბრიდი № 1) სხვა ნაყოფიერი ჰიბრიდის შთამომავლობა უფრო თანაბარი იყო. 25 მცენარიდან ყველა ნაყოფიერი აღმოჩნდა, მაგრამ ცალკეულ ყვავილებს გაინც არ შემნდა განვითარებული გენერაციული ორგანოები; ზოგიერთიგში შემჩნეული იყო მათი არანორმალური განვითარება: მტკრიანებისა და ბუტკოს დინგთა რიცხვის შემცირება

ან გადიდება, ყველა მცენარე (ისე როგორც ზემოაღწერილი ჰიბრიდი) მტკრე-ვადი და კილანია, მცენარეები გამოიჩინებოდა ძირითადად ნაყოფიერებით და გვიჩვენებდა თავთავის სიმკერივისა და კბილაკის სიგრძის ერთგვარ მტკრებას. მხოლოდ ერთი მცენარე საგრძნობლად განსხვავდებოდა სხვებისაგან მთელი რიგი ნიშანთვისებებით: მცენარის სიმაღლით, თავთავთა სიგრძით, სანთლიანობით, თავთავის კილის უფრო გრძელი კბილანით, მილალი ნაყოფიერებით—1,17—2,29, რაც აჭარბებდა შშობელ ფორმათა ნაყოფიერებას. სხვა მცენარეთა ნაყოფიერება ცვალებადობდა 0,08—1,17-ის ფარგლებში.

როგორც ანალიზის შედეგებმა გვიჩვენა, ამ ჰიბრიდის მეორე თაობას უმნიერესობის გადიდება, რაც მცენარეთა სიცოცლისუნარიანობის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

მიჩურინული ბიოლოგის დებულებიდან გამომდინარე,—რომ ჰიბრიდული ორგანიზმი თავისი განვითარების შესაძლებლობით უფრო მდიდარია, ვადრე რომელიმე დედა ორგანიზმი,—ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ნაყოფიერი ჰიბრიდები (*Tr. Timopheevi* × *Tr. monococcum*) ხორბლის სხვა სახეობებთან შეჯვარებისას მოგვცემენ უკეთეს შედეგებს, ვიდრე ამ კომბინაციის მშობელთა შეჯვარება ხორბლების იმავე სახეობებთან. მართლაც, შეჯვარებათა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ნაყოფიერი შორეული ჰიბრიდები უკეთესად ეჯვარებიან იმ სახეობებს, რომელისაც შშობელება ცუდად ან სრულიად არ ეჯვარებიან, რაც მათი მემკვიდრეობითი საწყისის შერჩევის შედეგია.

ასე, მაგ., თუ *Tr. Timopheevi* მაგარ და იგრეთვე რბილ ხორბლებთან შეჯვარებისას ნაყოფწარმოშობის ურიად უმნიშვნელო პროცენტს იძლევა და ისიც თავისუფალი ყვავილობის პირობებში, სახელდობრ 0,000—0,099 მარცვალს ერთ თავთავზე *Tr. Timopheevi*-სა *Tr. durum* და *Tr. persicum*-ს ჰიბრიდებში, მაშინ ჰიბრიდების (*Tr. Timopheevi* × *Tr. mon. v. Hornei*) *Tr. durum* და *Tr. persicum*-თან პირველი თაობის ჰიბრიდებში ნაყოფიერების ინდექსის რყევადობა 0,00—0,21 უდრის. ამ ჰიბრიდის *Tr. vulgare* v. *velutinum*-თან შეჯვარებაში ნაყოფიერების ინდექსი უდრიდა 0,00—0,17, ხოლო შებრუნებულ კობინაციაში 0,00—0,42, რაც საგრძნობლად აჭარბებს *Tr. Timopheevi*-ს *Tr. vulgare* v. *velutinum*-თან ჰიბრიდის ნაყოფიერებას.

ამგვარად, როგორც პირველ, ისე უკანასკნელ შემთხვევაში ნაყოფიერების ინდექსი უფრო მაღალი *Tr. Timopheevi*-ს მაგარი და რბილი ხორბლების ჯგუფთან ნაჯვარები.

Tr. monococcum-ის ხორბლების ორივე ჯგუფთან ნაჯვარი აბსოლუტურად უნაყოფოა.

ზემოხსენებული შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდების მეორე თაობაში გამჩნევთ ნაყოფიერების გადიდებას. ასე, მაგ., თბილისის პირობებში (*Tr. Timopheevi* × *Tr. monococcum*) × *Tr. vulg. v. velutinum*-თან შეჯვარების პირველი თაობის მცენარეების ნაყოფიერება მტკრებლად 0,00—0,17, ჰიბრიდთა მეორე თაობაში კი 0,00—1,00-მდე იყო.

ყოველივე ზემოთქმული *Tr. Timopheevi*-სა და *Tr. monococcum*-ს შორის ჰიბრიდების შეჯვარების უნარზე, განვითარების ხასიათზე და სხვა, ნებას-

გვაძლევს ვიგულისხმოთ, რომ ეს სახეობები ადამიანის ჩარევის შედეგად შეეგუა საერთო ადგილსამყოფელის პირობებს. უძველესი დროიდან კულტივირებული, კულტურის პირობებისადმი ნაელებმომთხოვნი, მძლავრი დაბუჩქვის უნარის შექმნები, ავადმყოფობისადმი გამძლე ეს ორი სახეობა შესაძლებელია შეერთებულიყო პოპულაციაში (თანასაზოგადოება, ცნობილი საქართველოში „ზანდურის“ სახელწოდებით) ადამიანის მიერ, რომელმაც შენიშნა, რომ მათი ერთად დათესვა უფრო უკეთეს პროდუქტიულობას იძლევა.

სამუხაროდ, ჩვენ მიერ ექსპერიმენტით ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული ეს უკანასკნელი დასკვნა—ბიოცენოზის კომპონენტების ურთიერთდაბმარების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ბოტანიკის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 7.1.1950)

დაორმებული ლიტერატურა

1. А. А. Ерицян. К изучению формообразовательного процесса в межвидовых скрещиваниях пшеницы. Тр. Тбил. Бот. Ин-та, т. VII, 1939.
2. Г. В. Канделаки. Новый амфилипloid *Tr. Timopheevii* Zhuk. \times *Tr. monococcum* L. Сообщ., АН Груз. ССР, т. VI, № 7, 1945 г.
3. В. Л. Менабде. Пшеницы Грузии. Тбилиси, 1948.
4. В. Л. Менабде. К филогенезу *Tr. Timopheevii* Zhuk. Сообщ. АН Груз. ССР, т. III, № 6, 1942.
5. В. А. Светозарова. О втором геноме *Tr. Timopheevii* Zhuk. ДАН СССР, т. XXIII, № 5, 1939.
6. М. Г. Туманян. О происхождении пшеницы *Tr. Timopheevii* Zhuk. Тр. Биологич. Ин-та, вып. 1. Ереван, 1939.
7. А. С. Хинчук. К генетике *Titicum Timopheevii* Zhuk. Тр. прикл. бот., ген., и селекции, т. XX, 1929.

ნიადაგმცოდვობა

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. საჩაული და მ. ჯიბაშვილი

შაზბიგის რაიონის მთა-მდელო კონკრეტულ და სამართლებულ და სამოწვევო მინისტრის მიერ მიმღების შესახებ

მთა-მდელოთა ნიადაგები კავკასიონის და მცირე კავკასიონის მაღალმთიან ზონაში დიდი და გავრცელებული. ამ ნიადაგების წარმოქმნის თავისებური პირობები და სხვადასხვა გამოსახულება და ინტენსივობა განსაზღვრავს ალპურ და სუბალპურ მთა-მდელოთა ნიადაგების სხვადასხვა განვითარების ხარისხს, შედგენილობას და თვისებებს.

პროფ. ს. ჭახაროვის [1], აკად. ლ. პრასოლოვის და ნ. სოკოლოვის [3] სქემებით და საქართველოს ნიადაგების კლასიფიკაციის ჩვენი სქემის [6] თანახმად, მთა-მდელოთა ზიადაგებს ზორის გამოიყოფა ალპური და სუბალპური ქედზონების (სარტყლების) ნიადაგები და მათ ზორის სახეები და სახესხვაობები განვითარების ხარისხის, სილრმის, ორგანული ნივთიერების რაოდენობისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ალპურ სარტყელში გამოირჩევა სუსტად განვითარებული მცირე სისქის (პრიმიტიული) კორდიან-ტორფიანი და კორდიანი მთა-მდელოს ნიადაგები, ხოლო სუბალპურ სარტყელში კორდიანი, ტორფიანი, გაერტყებული, შავმიწისებური და მეორადი მთა-მდელოს ნიადაგები; მეორადი მთა მდელოს ნიადაგები წარმოქმნება ტყის გაჩეხისა და ადგილის მდელოს მცენარეულობით დაკავების შედეგად.

ი. ლივეროვსკი [2] ჩრდილოეთ კავკასიის სუბალპურ ზონაში გამოყოფს: 1) კორდიან ნიადაგებს ალპორბციულად მაძლარს, ნაჩენით კაბონატულს (შავმიწისებრის), დანალექი ქანების კაბონატულ ან გამოტუტულ ალვეზე; 2) კორდიან ნიადაგებს, ალპორბციულად სუსტად არამაძლარს (მუქი ფერისას), უმთავრესად მეცავე მეტა-აროფული, ამონალვარი და უკარბონატო დანალექი ქანების გამოვიტვის პროცესებზე; ვარდა ამისა, გამოიყოფა მეორადი კორდიან-მდელოს ნიადაგები.

ამრიგად, მთა მდელოთა ზონაში ძრითადი ნიადაგთწარმოქმნის კორდიანი პროცესი, რომელსაც აქ სხვადასხვაგვარი გამოსახულება აქვს.

სუბალპური და ალპური მდელოების ზონას დიდი სასოფლო-სამეურნეო მინიშვნელობა აქვს, რადგან იგი მეცხოველეობის ბუნებრივ საკედ ბაზის წარმოადგენს. ამ ბოლო დროს დიდი უურადლება ქმნის სიმოვრეების გაუმჯობესების საკითხებს ბალახების თესვის, ნიადაგდაცვითი ღონისძიებების და სხვა საშუალებებით. ამ მხრივ ცალკე რაიონების მთა-მდელოთა ნიადაგების შედგენილობისა და თვისებების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩეკო მიერ შესრულებულია პატარა სამუშაო მთა-მდელოთა ნიადაგების შესასწავლად ყაზბეგის რაიონის ქვედა ზონაში.

ეს რაიონი მდებარეობს კავკასიონის მაღალმთიან მხარეში; მას ახასიათებს ჰედაპირის დიდი დასერილობა და სიმაღლეთა დიდი ამპლიტუდა.

მ. სანებლიძის მიხედვით [7], ყაზბეგის რაიონის უმეტეს ნაწილში წარმოდგენილია მთიან ხეობათა რელიეფის ზონა შეჩრდილებული ქედებით და ტროგისებური ხეობებით, 1800—3000 მ, სიმაღლეზე უფრო მაღლა, 3000-დან 4000 მეტრამდე მდებარეობს კლდოვანი ქედების ზონა, რომელიც ალაგ დასერილია მყინვარებით და წარმოდგენილია როგორც შეტეინი ფორმებით, ისე უფრო დამრეცი ფლატეებით და ქვანი მორჩებით.

ყაზბეგის რაიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ძელი ინ. ტრუზიული ქანები, ანდეზიტები, ხოლო უმეტეს ნაწილში ლეიასის ფიქლინი ფენები. რენგარტენის [4] მიხედვით, ეს ფენები ყაზბეგისა და ლუდუშაურის წყებებს მიეკუთვნება.

ყაზბეგის რაიონას ჰედაპირის უმეტესი ნაწილი მეოთხეული პერიოდის ყოფილი გამყინვარების ნიშნებს ატარებს. რენგარტენის მიხედვით [5], ამ რაიონში თოვლის ხაზი წარსულში 700—800 მ უფრო დაბლა იყო. მორჩები დიდ ნაწილში გადარეცხილია, მეორე მხრივ კი გადაფარებულია ჩამონაზეავებით და გამოზიდების კონკებით.

ყაზბეგის რაიონის თანამედროვე სუბალპური მცენარეულობის დიდი ნაწილი მეორადი წარმოშობისაა და წარმოდგენილია უმთავრესად სუბალპური მდელოებით ნაირბალახოვნ-მარცვლოვანი და ნაწილობრივ ნაირბალახოვან-პარკოსანი ასოციაციებით, *Agrostis planifolia*-ს, *Calamagrostis arundinacea*-ს, *Bromus variegatus*-ს და სხვათა მონაწილეობით. თრუსოს ხეობის მარჯვენა მხარეზე გვხვდება აგრეთვე კალციფილური მცენარეულობის წარმომადგენლები *Cobresia capillifolia*-ს სახით.

ა. ხარაპის თანამედროვე ტყეების გაჩერების შემდეგ აღილი დაიკავა სუბალპური ტყე-მდელოს მცენარეულობამ, რომელმაც ყაზბეგის რაიონში 1300 მეტრამდე დაიწია. ყოფილი ტყეების ნაშთებს „წმინდა“ ტყეები წარმოადგენს (სოფ. გერგეთი, საონი), რომელიც უმთავრესად არყია და ვერხვისაგან შედგებიან.

საძოვრების ძოვებით გადატევითოვის გამო სუბალპური მდელოები ხშირად დასარევლიანებულია. სუბალპური ბუჩქებიდან უნდა აღინიშნოს იელი (*Rhododendron flavum*), რომელიც ზოგან გვხვდება შხოლოდ მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე.

2400—2500 მ უფრო მაღლა მდებარე ალპური სარტყლის ქედა ნაწილში წარმოდგენილია უმთავრესად ნაირბალახოვანი და ნაირბალახოვან-მარცვლოვანი ასოციაციების კომპლექსი. ზედა ალპურ სარტყელში 2600—3200 მ ფარგლებში განვითარებულია ტიპობრივი „ხალიჩები“ დაბალმცენარეული ასოციაციებით.

ნიაღავის გამოკვლევა ჩვენ მიერ ჩატარებულია ძირითადად სუბალპური მდელოების ზონაში. შესწავლით ნიაღავების უმრავლესობა კორდიან სუბალპურ მთა-მდელოთა ნიაღავებს წარმოადგენს. ამ ნიაღავებისათვის დამახასიათებელია მცირე და უფრო იშვიათად საშუალო სილტები, უფრო ხშირად ძლიერი ხინხატიანობა და კორდის არსებობა. შესწავლით ნიაღავები მეტწილად

ყაზბეგის რაიონის მთა-მდელოთა ნიადაგების შესახებ

უკარბონატოა; მხოლოდ მთიულეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მერგელების გაურცელების არეში, გვხდება მთა-მდელოთა კარბონატული ნიადაგები.

შევერთ პირველ ცხრილში მოგვაყვას შესწავლილი მთა-მდელოთა ნიადაგების შექანიერი შედეგნილობის მოხაცემები.

ଓঁৰোলো ১

მთა-მდელოთა ნიადაგების მექანიკური ანალიზების მოწადებები 1,0 % NaCl დამტკაცებით
ანალიტიკური კ. ჩაღათაშვილი

კრიკი		ტენის სტ	მდგრადი სტ	უცვლელი სტ	> 1 სტ	1—0,25	0,25—0,5	0,5—1,0	1,0—0,005	0,005—0,001	0,001—0,0005	0,0005—0,0001	0,0001—0,00005
1 კორდიანი სუბალპ. მთა- მდელოს ზიადაჟ. (კვარის მთა, 2300 მ)	0—6	7,30	—	0,69	18,84	54,72	12,13	3,64	9,98	25,75			
	6—12	5,80	—	0,70	25,13	43,17	15,64	10,28	5,08	11,00			
	12—20	3,62	—	1,39	9,64	40,27	19,69	19,69	9,37	48,70			
	25—33	1,79	—	0,66	9,17	39,30	18,34	27,22	6,81	52,37			
	38—80	0,75	41,76	5,11	13,54	56,33	0,50	16,93	7,04	24,47			
2 იგივე, დიდი სისქის ზიად. (2430 მ)	0—80	7,91	—	2,58	26,04	50,04	5,89	2,55	12,90	21,34			
	10—18	5,28	—	2,14	23,38	36,89	16,63	12,53	8,63	37,59			
	25—35	1,51	—	1,48	30,65	19,06	13,35	22,07	11,83	48,15			
	50—60	4,60	—	8,77	28,05	31,38	13,08	13,00	5,12	31,80			
	80—90	1,89	—	3,12	49,62	10,89	15,08	14,06	7,23	36,37			
5 კორდიანი (კორდიან- ტორფანი) მცირე სის- ქის ზორატანი კარ- ბონატული	0—9	6,13	62,90	3,72	10,54	38,40	16,67	11,36	19,31	47,34			
	17—19	1,75	72,77	5,60	27,76	29,21	17,23	11,29	8,85	37,43			
	23—33	1,26	83,64	13,30	17,65	30,07	15,19	15,80	7,99	38,98			
7 კორდიანი მცირე სის- ქის ზორა-მდელოს ნ. ყაბახელი (1950 მ)	0—10	4,90	—	3,97	25,23	42,29	9,01	10,10	8,30	27,91			
	15—25	1,60	41,31	16,13	34,19	16,16	9,76	13,71	9,55	33,20			
	35—45	2,02	53,53	14,16	27,43	22,22	10,20	16,00	9,99	36,19			
9 მთა-მდელოს (ტყე-მდე- ლოს) ზიადაგი დიდი სისქის	0—8	4,96	—	2,59	21,54	35,56	12,39	19,73	8,19	40,13			
	12—22	4,60	—	2,30	0,42	56,91	11,82	19,66	8,89	40,37			
	30—40	3,92	—	3,01	9,39	27,75	20,99	30,71	8,15	59,85			
	65—75	3,98	—	3,21	21,09	1,56	41,18	22,35	10,60	74,13			

ანალიზები აღასტურებს შემცირებულ განვითარების შედეგების შემთხვევაში და საშუალო თიხნარ შედგენილობას და გრძელვე მათ დიდ ხილ-ხატიანობას ცალკე ფერნებში, ხოლო ჭრ. № 5-ში მთელ პროცესზე. შედარე-ბით უფრო მძიმე შედგენილობას ენტენდეთ ჭრ. № 9 ნიადაგში, რომელიც წარ-მოქმნილია თიხა-ფიქირობების იელნარში.

კორდიან მთა-მდელოთა ნიადაგებისათვის ჩვენ ვხედავთ ჰუმუსის დიდ რაოდენობას, რომელიც შეადგენს 15,7 და 22,5 პროცენტსაც კი, და მის თანდა-თანობით შემცირებას ქვედა ფენებში. ჭრ. № 5 ნიადაგის კორდიან-ტორფიან ხასიათს აღასტურებს ჰუმუსის (ორგანული ნივთიერების) დიდი პროცენტი

ଶୈଳ୍ପା ଫୁର୍ନାଶି ଦା ମିସି ଶୈଳ୍ପାର୍କେବିତ ମ୍ୟାକ୍‌ରେଟରୀ ଶୈଳ୍ପିକ୍‌ରେବା ମୁହଁବିତ. କାରଣିକାନ ଏବଂ ପ୍ରକାରିକାନ-ରୂପରେତିକାନ ମିତ-ମଧ୍ୟେଲଗତା ନିରାଙ୍ଗାବ୍ୟଥି ଶୈଳ୍ପିକାରେ ଉପରେଲେବିତ ବ୍ୟାପକ ଘନନାପ୍ରେମେଦି ମନ୍ୟାବେ ଏ. ଲୀଓପାର୍କ ଓ ସକ୍ଷିପ୍ତ [2] ଏବଂ ସନ୍ତୋଷ ପ୍ରକାରରେବାସ.

ଓৰোলো 2

କ୍ଷେତ୍ରମୁଁରେ ଏହା ଅନେକଟିକି ଶୈଖିପ୍ରେସ୍‌ଲୋକିଆ ମହା-ମଧ୍ୟାଯ୍ୟାଳୀନା ନିରାକାର୍ଯ୍ୟଙ୍କୁ ଦେଖିବା
ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଏହା ଏକ ହିଂଦୁବାଦୀ ପାଦାର୍ଥକାରୀ ଦେଶ ହାତରେ ଆଜିମହିନୀରେ ଏହା ଏକ ପାଦାର୍ଥକାରୀ

ჭრილის № და წიაღაგი	ფენა სმ	ჰუმები %/%	ასოტი %/%	C:N	შსნადი ჰუმები %/%
№ 1 კორდანი სუბალპური მთა-მდელოს ნიად. (ჯვარის მთა, 1300 მ)	0—6 6—12 12—20	22,54 10,08 5,54	1,29 0,82 —	10,1 9,2 —	0,20 0,06 0,02
№ 2 იგვენ, დიდი სისქის (მუდას მთა, 2430 მ)	0—8 10—18 25—35	15,74 9,84 6,72	0,95 0,60 —	9,6 9,0 —	0,17 0,04 0,02
№ 5 კორდანი (კორდანი-ტოფანი) მთა-მდელოს, მცირე სისქის ზორხატიანი ნიად. (მინე-რალური ჭყრისთავი)	0—9 17—19 23—30	22,91 5,19 2,37	1,38 0,33 —	9,6 9,1 —	0,27 0,03 0,01
№ 7 კორდანი მთა-მდელოს, მცირე სისქის (ს. ყ ზბ.გა, 1950 გ)	0—10 15—25	15,41 3,21	0,94 —	9,5 —	0,12 0,01
№ 9 მთა-მდელოს (ტე-მდელოს), დიდი სისქის	0—8 12—22 30—40 65—75	11,14 8,59 3,18 3,64	0,57 0,48 — —	12,2 10,2 — —	0,13 0,07 0,02 —

დამახასიათებელია აგრძელებული აზოტის შემცველობისა და C:N შეფარდების მონაცემები. აზოტის რაოდენობა ჰქონის შემცველობის პროპორციულია; ნახ-შირბაძის შეფარდება აზოტთან ნაკლებად მერყეობს და ზედა ღენაში 9,5–10,1 უდრის. ჰქონის შემცველობის და C:N შეფარდების მიხედვით რამდენიმედ გამოირჩევა ჭრ. № 9 ნიადაგი, რომელიც იღლნარშა აღმოჩეულია. ჩეკნ გხედავთ ჰქონის შედარებით მცირე რაოდენობას, მის თანამდებობით შემცირებას ქვევით და C:N უფრო ფართო შეფარდებას. ამ ნიადაგის ყველა მიჩვენებელი მას უფრო ახლოს აყნებს ტყის ნიადაგებთან, ვიდრე მთა-მდელოთა სხვა ნიადაგებს, სადაც კორდიან პროცესს მეტი ხანდაზმულობა და უფრო მკეთრი გამოსახულება ძევს. ი. ტიურინის [8] მიხედვით, C:N შეფარდების ზემომოყვანილის მსგავსი მონაცემები ხასიათებრი ტყის ნაკრისტერ და ეჭვრ ნიადაგებს.

ჰემისისა და აზოტის შემცველობისა და C : N შეფარდების სიღიძესთან
პირდაპირ კავშირშია შესწევლილი ნიადაგების ორგანული ნივთიერების შედ-
გენილობა. გამოკვლეულია ჩატარებულია ი. ტიტურინის მეთოდით.

მე-3 ცუნასიშვილი მოყვანილი მონაცემები არ აძლევანგებს დიდ განსხვავებას შესწავლით ნიადაგებს ზორის ჰერინის მეუკებას და ფულგორეაცების საერთო

Ուղարկություն 3

Բնա-մշգնաբառա նուագընը ռարկանը և նուտրիցիդների նշանակությունը և ազդեցությունը

անալոգներուն ք. հա լա տա մ ք ո լ ս

Նուագը	Համար և տարբերակ	Համար և տարբերակ	C Կարբոքաց	N Կարբոքաց	C:N	C Մաքրացան- ողացան		C Տարածու- սքնակը		C Քարտուցան- ուացան		C Սպառավաճա- ր		C Արակացան- ուացան		C Կարբոքաց	
						%/ նուագը	%/ սպառավաճա- ր	%/ նուագը	%/ սպառավաճա- ր	%/ նուագը	%/ սպառավաճա- ր	%/ նուագը	%/ սպառավաճա- ր	%/ նուագը	%/ սպառավաճա- ր	%/ նուագը	%/ սպառավաճա- ր
№ 1 Կարմարան Սըմալ- վարդ Բնա-մշգնաբառ նուագ. (Հայական Բնա- մշգն. 2300 թ)	0-6 13,07 1,29 10,1 6-12 7,62 0,82 9,2 12-20 3,16 — —	0,33 0,43 0,42	2,53 3,77 13,19	1,58 0,06 0,09	12,08 0,77 2,84	2,52 1,79 0,88	19,43 22,54 10,93	4,20 2,73 1,58	32,18 35,66 50,02	1,74 0,93 0,28	13,31 13,14 8,59	3,23 1,74 0,56	24,71 22,63 17,72	0,60 0,66 0,22			
№ 5 Կարմարան (Կոր- դան-Ռուսական), մըուրդ Սուսերու Ֆուն- սալուման (Բնիշ- ռան Հայական թան)	0-9 12,93 1,38 9,6 17-19 3,01 0,33 7,1	1,28 0,51	9,89 16,94	0,47 0,03	3,63 0,99	3,27 0,51	25,28 16,94	4,61 1,06	35,61 35,59	0,76 0,23	5,87 7,64	2,49 0,74	19,25 21,58	0,71 0,47			
№ 7 Կարմարան Անդրե- սովին Բնա-մշգնաբառ նուագ. (Ա. Կանենց, 1950 թ)	0-10 0,94 0,94 9,5 15-25 1,83 — —	0,25 0,19	2,89 10,38	0,49 0,20	5,48 15,30	1,54 0,11	17,21 5,94	3,52 0,58	39,38 31,66	0,66 0,18	7,38 9,89	2,76 0,47	30,87 25,64	0,44 0,19			
№ 9 Բնա-մշգնաբառ (Ըստ մշգնաբառ) Դուրս կայուն Բնա-մշգն. գործ	0-8 7,01 0,67 12,2 12-22 4,98 0,48 10,2	0,26 0,25	3,78 5,18	0,24 1,15	3,42 3,01	1,54 0,87	22,26 17,91	2,45 1,98	35,10 36,69	1,96 1,22	11,43 9,60	1,96 1,22	28,00 24,42	0,63 0,46			

ნახშირბადილან ჟეფარლებითი ჟემცველობის მზრივ. ჰუმინის მექანის ჟედა-
რებით მეტი რაოდენობა ჭრ. № 5 ნიაღაში გამოწვეულია, ალბათ, მასში
შთანთქმული კალციუმის და, მაშასადამე, მასთან დაკავშირებული ჰუმატების
დიდი ჟემცველობით.

ჰუნდა მეურებისა და ფულვომქავების შეფარდებითი შემცველობის მოყვანილი ციფრები ახლოა ტყის ნაცრისფერი და ეწერი ნიადაგებისათვის 0. ტიურინის [8] მიერ მოყვანილ ციფრებთან. მოყვანილი ციფრებიდან შედარებით გამოირჩევა დეკალცინატის ნებშირბადის გადიდებული რაოდენობა № 5 კორდიან-ტორფიან ნიადაგში, აგრეთვე ორაპიდოროლიზადი ნაშთის ნახ-

ცხრილი 4

შთანთქმული ფუნქციები (მშრალი ნიად, მიწედვით)

ანალიტიკული ა. გასუმოვა

შინაგანი იმავე ნიადაგში და ჰიდროლიზაციის ნახშირბადის იმავე და № 7 კორდიან ნიადაგში ნაკლები შემცველობა; შედარებით მეტია ეს ციფრული № 1 კორდიან მთა-მდელოს და № 9 ტყე-მდელოს (მთა-მდელოს) ნიადაგებში.

მოგვავს აგრეთვე შესწავლილ ნიადაგებში შთანთქმული ფუძეების შედაგენილობის მონაცემები (ცხრ. 4). ეს მონაცემები მოწმობს საერთო მასაში შესწავლილ მთა მდელოთა ნიადაგების შედარებით ნაკლებ შთანთქმის ტყვა-დობას და მათ ფუძეებით არამაღლობას. როგორც ვხედავთ, არამაღლობის ხარისხი საკმაოდ დიდია. შთანთქმის ტყვა-დობა პირდაპირ კავშირშია ჰქონის შემცველობასთან და ზოგიერთ ნაწილში მასში ჰქონის მეურას შემცველობასთან. ამის დადასტურებას ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან (ცხრ. 3) წარმოადგენს ჰქონის მეურას აბსოლუტური ციფრები.

საერთოდ კი შთანთქმული ფუძეების შედგენილობის მხრივ მოყვანილ ნიადაგებს შთანთქმის დიდი განსხვავება არ არის. ამას ადასტურებს აგრეთვე ამ ნიადაგების რეაქციის მონაცემებიც, რომლებიც თითქმის ყველა ჭრილში გვიჩვენებენ მეურანობას სუსტი და უფრო იშვიათად საშუალო ხარისხის ფარგლებში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ჭრ. № 5 ნიადაგი, რომელიც გვიჩვენებს შედარებით მაღალ შთანთქმის ტყვა-დობას და ფუძეებით მაღლობას მოყელ პროცენტზე. ამის განმარტებას იძლევა ამ ნიადაგის საკმაოდ დიდი კარბონატულობა ზედაპირიდანვე; ნიადაგი მერგელზეა განვითარებული. კარბონატები მოიპოვება შერგელის ნატეხებში, რომლებსაც ეს ნიადაგი უხვად შეიცავს. კარბონატების შემცველობით აისანება ჭრ. 1 და № 3 ტუტე რეაქცია ქვედა ფენებში.

აღნიშნულ ნიადაგებში კარბონატების შემცველობის შონაცემები მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

გრილი № სტ	ფენა ცხ	CaCO ₃ %
5	0—9	10,37
	17—19	35,97
	23—33	42,64
	55—65	68,55
1	25—32	3,57
	38—50	48,15
3	55—65	73,48

ამრიგად, მოყვანილი ზოგიერთი ცნობა ყაზბეგის რაიონის მთა-მდელოთა ნიადაგების შესახებ მოწმობს ძირითადად მათ კორდიან სახეს და უმეტეს ნაწილში მეორად წარმოქმნას. ამასთანავე ეს მონაცემები მოწმობს აღნიშნული ნიადაგების საკმაოდ დიდ სხვადასხვაობას, რელიეფის პირობების, დედა ქანების, მცენარული საფარისა და სხვა პირობების მიხედვით, და მათ თითქმის ანალოგიურ ხასიათს კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობის ნიადაგებთან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ნიადაგმცოდნების, აგროქიმიისა და

მელიორაციის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 10.7.1950)

დამოუკიდებლი ლიტერატურა

1. С. А. Захаров. К характеристике высокогорных почв Кавказа. Изв. Константиновского Межевого Института, вып. VI, М., 1914.
2. Ю. А. Ливеровский. К генезису горнолуговых почв. Почвоведение, № 2, 1945.
3. Л. И. Прасолов и Н. Н. Соколов. Почвенно-географический очерк Юго-Осетии. Труды СОПС АН СССР, Сер. Закавказье, 1935.
4. В. П. Ренгартен. Геологический очерк района Воснино-Грузинской дороги. Тр. Всес. геол.-разв. объедин., ВСНХ СССР, вып. 148, 1932.
5. А. Л. Рейнгард. К вопросу о четвертичном оледенении. Доклады АН СССР, Л. т. 19, 1927.
6. М. Н. Сабашвили. Почвы Грузии, Тбилиси, 1948.
7. М. С. Санеблидзе. Физико-географическая характеристика Казбекского района. Диссертация (рукопись в Тбил. гос. Университ. имени Сталина, 1949).
8. И. В. Тюрина. Географические закономерности гумусообразования, Тр. Юбил. сессии, посвящ. столетию со дня рождения В. В. Докучаева. Москва, 1949.
9. ს. ხარაძე. ყანძევის რაიონის გცენარეულობა. საქ. მეცნ. აკადემიის სოფლის მეცნიერობის მეცნიერებათა განყოფ. მე-5 სამეცნიერო სესიის მოსსინებათა თეზისები. თბილისი, 1945

ხელოვნების ისტორია

განხტანები ღოლიძე

დაგით-გარეჯის მითი ხუროთმოძღვრული ქმრის დათანილების
საპიროსისათვის

(წარმოადგინა აკადემიის ნაშროვილმა ჭევრმა გ. ჩუბინაშვილმა 1.4.1950)

„უდაბნოს“ ქედის აღმოსავლეთ ბოლოში, სატრიანგულაციო წერტილიდან დასავლეთით დაახლოებით 100 მეტრის მანძილზე, მთის ოხებზე აგებულია „აღდგომის“ ეკლესია ([1], ტაბ. 6). იგი გადასურებს ფართოდ გადაშლილ გარეჯის ჟიველ მთაგორაკან უდაბნოს, რომელიც შორს სამხრეთ-დასავლეთით მტკურის დაბლობს ერთვის. დარბაზული ტიპის პატარა ეკლესია გვევაში წარმოადგენს წწორეკუთხედს ($3,5 \times 5,0$ მ) აღმოსავლეთიდან ნახევარწრიული აფსიდური შეკრილით (სურ. 2), რომელიც შიგნით ფართო და ლრმა საკურთხეველს ქმნის¹.

ცალკე გადასურული აბსიდი მთავარი კორპუსის ორფერდა სახურავშე რამდენადმე დაბალი იყო.

კედლები აგებულია ადგილობრივი, არათანაბარი ფორმისა და ზომის, ტლანქად ჰემოტეხილი ქვებით, რომელთა შორის უფრო დიდები მოქცეულია წყობის ქვედა ნაწილში.

ამგარსავე წყობას ვხედავთ ნაგებობის შიგნითაც. აღსანიშნავია, რომ აქ კედლები მოქცეულად ყოველგვარ დეკორატიული თუ კონსტრუქციული ხასიათის დამატებით ელემენტებს.

გადასურვა ჩამონგრეულია, მაგრამ შერჩენილი ნაწილი გვიჩვენებს, რომ კამარა აგებული იყო კედლის წყობიდან თანდათანობით გადასვლით, ყოველგვარი თალღების გარეშე.

შერჩენილია კონტინუატურული ნაწილი, იგი გამოყვანილია შედარებით უფრო შერჩეული, თითქმის თანაბარი ზომის ქვების სწორი რიგებით. ეკლე-

(1) ხელოვნებათმოცნეობის ლიტერატურაში ეს ძევლი პირველად ნახსნებია 1921 წ. დაწერილსა და 1949 წ. გამოცემულ აკად. გ. ჩუბინაშვილის შრომაში [1], სადაც იგი მიკუთვნებულია ავტორის მიერ XVI—XVII ს. ჭართულ ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის დაკითხარებული კოუნის დროს, 1949 წ. აარიშვი, აღნიშვული შრომის ავტორია ამ ძევლის გადასამარტინებების მარისა იყო; სახულდაბარ, მომზრე იყო მისი აგება უფრო ადრინდელ ხანას მიკუთვნებოდა. წინამდებარე შეკრილი ცდაა ამ მნიშვნელოვანი შელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში 1949 წ. 26 მაისს წაკითხული მოხსნების მოკლე გადმოცემას წარმოადგენს.

სისა თხით სარქმელი აქვს: ერთი დასავლეთის ფასადზე, ხოლო სამი—აბსიდში, აქ სარქმელთა ზედა კიდე საერთო დონეზეა. შეა, უფრო ფართო სარქმელის ქვედა კიდე 60 სანტიმეტრით უფრო დაბლაა, ვიდრე განაპირია სარქმელთა შესაბამისი კიდეები.

გარედან განაპირია სარქმელი სწორკუთხოვანი მოხსულობისაა, შეა კი თაღლვანი უნდა ყოფილიყო, როგორც მის წყობაში შერჩენილი ქვები მიგვითოვებს. ასევე თაღლვანია ეკლესიის ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან. ეკლესიაში ხუთი ნიშია: ორი აბსიდში, ერთი სამხრეთ კედელში და ორი ჩრდილოეთის კედელში. გარედან აბსიდი სრულიად სადაა და მოკლებული ყოველგვარ მორთულობის.

რამდენადმე გაცოცხლებულია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადები, რომელთაც ორმალიანი დეკორატული არკატურა აქვთ (სურ. 3). გარდა ამისა, ჩრდილოეთ ფასადის კედლის წყობა გამოიიჩინება მასში ქვების ვიწრო და ფართო რიგების მონაცემების შეტანის ცით, რაც შედარებით მეტად ჩანს აბსიდის ჩრდილოეთ მხარეზე.

ამავე ფასადზე შერჩენილია მცირე ზომის კარნიზი, რომელიც ჭირმოადგენს თხელი ფლეთილი ქვებისაგან შედგენილსა და ერთიმეორებული გადმოშევრილ ორ თაროს.


კარნიზის გადასვლა დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადების ფრონტონებზე შესრულებულია მცირეოდენი გადანაკეცით, რაც ნათლად ჩანს ჩრდილო-აღმოსავლეთისათვის და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეებზე (სურ. 4). ყურადღების გარეშე არ რჩება სამხრეთ ფასადის პილასტრების გასქელება დააბლოებით ერთი სიმილის დონეზე, რაც, როგორც ჩანს, გათვალისწინებული იყო რაღაც საღვრომის კამარის საყრდენად. ეს პილასტრები არ სტროებენ ჩამონჯრეულის შთაბეჭდილებას, არც კამარის კვალი ჩანს კედელზე. საფუძრებელია, რომ თავდაპირველი განზრახვა — მიერთებინათ სამხრეთ ფასადზე რაღაც საღვრომი, აღარ იყო განხორციელებული ბოლომდე. როგორც გარედან, ისე შიგნით, გარდა კარების წირთხლისა, ნაგებობა შეულესავი ყოფილა. რამე გადაეკეთების ნიშნები არ ჩანს, ამ მხრივ ძეგლმა ჩევნამდე თავდაპირველი სახით მოადწია. მთლიანად უკლესია, უბრალო, უწესრიგო წყობით აგებული და ყოველგვარ მორთულობას მოკლებულია, მხატვრულიად ღარიბ შთაბეჭდილებას სტროებს. ეს არის ჩვეულებრივი რიგის „ნაგებობა გარეული ფუნქციების შესასრულებლად, რაზედაც ნახსენებია გარეჯის მოწამეთა ცნოვებაში“:

„ჩვეულება იყო ზოგად ცხოვრებულთა ყოველთა მონასტერთა შინა გარეშესჯისთა, ვითარმედ აღასრულიან რა ორმოცი დღენი წმინდისა მარხვანი... და წმინდას დიღსა შაბათსა, მწუხრ პხსენებულსა მას ალდგომისა ეკლესიასა შინა შექრბიან და ღამე იგი ყოველი, ვითარ იგი განწესებულ არს მამათაგან, ევევითარითა ღამისთევითა განეტევიან. ხოლო აღასრულიან რა ლოცუა ცისკრისა... თვის თვესთა მონასტერთა შარვილია“ ([1], გვ. 91).


თუმცა ეს საბუთი შაბათის ეპოქას ეკუთვნის, საფიქრებელია, რომ წესჩვეულება, რომელსაც ასრულებდნენ მა ეკლესიაში „ვითარ იგი განწესებულ არს მამათაგან“, ტრადიციულად ძველთაგანვე ხდებოდა მასში. და ის

დაგით-გარეჯის ერთი წუროთმოძღვრული ძეგლის დათარიღების საკითხისათვის


a.



B



c




სურ. 1. a—დაგით-გარეჯი; B—ველისპირი; c—სარკინეთი

39. „მოაშშე“, ტ. XI, № 9, 1950

გარემოება, რომ დაახლოებით XII—XIII ს. ბრწყინვალედ მოხატულ გმირებულთა ეკლესიებთან შედარებით უპირატესობას აძლევდნენ ამ შემთხვევაში



სურ. 2



სურ. 3

ამ პატარა, მხატვრული თვალსაზრისით უმნიშვნელო ეკლესიას, შესაძლებელია იმის სასაჩვენებლოდ ლაპარაკობს, რომ მას თაყვანს სცემდნენ როგორც ერთ-ერთ უძველესს გარეჯაში.

ამ ეკლესის დამახასიათებელი ცალკეული თვისებების შეჯავება, როგორც ვფიქრობთ, ნებას იძლევა მივაკუთვნოთ იგი VIII—IX საუკუნეების ნაგებობათ ჯგუფს.

დავუბრუნდეთ ნაგებობის გეგმის და ფორმებს. ეს არის ისტო ცალწავიანი პატარა ეკლესია, გარეთ გამოშეერთილი ნახევარშროული აბსიდით, როგორიცაა ღმანისის რაიონის VIII—IX ს. ძეგლები—„შ. დიმიტრის“ ეკლესია სოფ. ველისპირში (ყოფ. ერქვეშიანთი) და ს. სარკიინეთის (ყოფ. დემიტრულაბი) ეკლესია (იხ. გეგმები) და მსგავსება ამ უკანასკნელთან მეტი იქნება, ოუ გავითვალისწინებთ,

რომ ჩვენს ეკლესიასაც, თავდაპირველი განხ-

რისვის თანახმად, სამხრეთით, ფასადის მოელ სიგრძეზე, რაღაც მინაშენი უნდა ჰქონდა.

თუ თვალს გადავავლებთ იხლა ცალკეული ხუროთმოძღვრული ელემენტების გამოყენებას, შენიშვნავთ, რომ ანალოგიებს ადგილი აქვს VIII—IX და ნაშროვნების VII საუკუნის ძეგლებში. ჩვენი ეკლესის კონქის მსგავს კონსტრუქციას ადგილი აქვს გაჩინაძინის ტაძარში (IX ს.), დიღმის ხეობის მაჩხანის ეკლესიაში (IX ს. ნახ.) და VIII—IX ს. მიკუთვნებულ ჯავახეთის სოფ. სირგოს მკლესიაში ([2], გვ. 385—386).

(1 იხ. ლ. რჩეული იშვილის მოხსენება ამ ძეგლების შესახებ ქართული ხელოვნების სტრუქტური (ბერძაშვილი). გვემობა (სურ. 1 b, c) შესრულებულია ლ. რჩეული-შვილია და ვ. ციცაძის აზალმთა მიხედვით, გვემა (სურ. 1 a) მოგვაცს ([1], გვ. 90)—დან.

დაცით-გარეჯის ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლის დათარიღების საკითხისათვის

როგორც ძეგლის აღწერაში აღნიშნეთ, ერთადერთ დეკორატიულ ელემენტად გამოყენებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ ფასადებზე ორმალიანი არკატურა.

ამგვარი არკატურით დამუშავებულია წირქოლის ეკლესიის (VIII ს.) შესაბამისი ფასადები ([3], გვ. 16). პრინციპულად ამგვარივე სისტემითა გაფორმებული გურჯაანის ორგუმბათიანი ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი ([4], ტაბ. 73).

აღსანიშნავია, რომ წირქოლის ძეგლში გამოყენებულ ჭყობის რიტმის ([3], გვ. 16) ენათესავება გარეჯის „აღდგომის“ ეკლესიის აფსიდისა და ჩრდილოეთის ფასადის დამუშავება (სურ. 3, 4), რომელიც წირქოლში გამოყენებული ჭყობის ჩამოყალიბებული რიტმული სისტემის წინამორბედად გვევლინება. მეტად დაბახასიათებელია გარეჯის ეკლესიის კარნიზი. ამგვარი კარნიზით—ჰირიზონტული გადანაკეცით ნაგებობის კუთხეებზე, დაგვირგვინებულია ქსნის ხეობის არმაზის ტაძარი (864 წ.), სამწვევრისის ეკლესია (VII ს.), დიღმის ხეობის მაჩხაანის ეკლესია (IX ს. ნახ.), სარკინეთი (VIII—IX ს.). კარნიზის კონსტრუქციის (ერთიმეორებზე გადმოშევრილი თაროები) ანილოგებს ვხედავთ კახეთის VIII—IX ს. ს. ეკლესიებში—ვაჩხაანში, ურიათუბნის დავითიანში ([4], ტაბ. 78) და გურჯაანში. მეტად მნიშვნელოვან მომენტს „აღდგომის“ ეკლესიაში წარმოადგენს გამოყენებული სააღმშენებლო მასალის ხასიათი. ნაგებობაზე ნახმარია აღგილობრივი ფლეთილი, მრავალნაირი ზომის, დაუმუშავებელი ქვა, რაც გარდამავალი ეპოქისათვის ტიპობრივია. ეს ის ეპოქა, როდესაც ქართველი ხალხი არაბთი შემოსვევის შედეგად მატერიალურად შევიწროებული იყო და არ შეეძლო ჩეველებრივი რიგის ნაგებობაზე დახარჯა იმდენი სახსარი და მიერცია მისთვის იმდენი ყურადღება, რამდენიც დაუთმია მას თავისი კულტურისა და კუროთმოძღვრების აყვავების ბრწყინვალე ეპოქებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 5.4.1950)

დამოუმჯობესების ლიტერატურა

1. Г. Н. Чубинашвили. Пещерные монастыри Давид-Гареджи. Тбилиси, 1948.
2. Н. Г. Чубинашвили. Архитектурный памятник на месте древнего селения Сирго. Сообщения Академии Наук ГССР, т. IX, № 6, 1948.
3. Г. Н. Чубинашвили. Архитектурные памятники VIII и IX века в Канском ущелье. Ars Cœrctica, I, 1941.
4. Album de l'architecture georgienne. Redigé par E. Takaichvili. Tiflis, 1924 (ქართული და ფრანგული პარალელური ტექსტი).



პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ს. ჭილა ა ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, აკ. წერეთლის ქ. № 3/5	
ხელმოწერილია დასაბ. 29.11.1950	საბეჭდი ფორმა 4,5
ანაწყობის ზომა 7x11	სააღრიცხვო-საგამომც. ფორმ. ჩაოდ. 5,5
შეკვ. 706	ტირაჟი 1500
	უ. 18211

ფაზი 5 ზან.

დ ა გ ტ ე ც ი ც ი ბ უ ღ ი 0 1

საქართველოს სსრ მცენის აკადემიის მოექ
22.10.1947

დებულება „სამართვილოს სსრ მცენის მინისტრის აკადემიის მოახდინ“ შესახის

1. „მოამბეზი“ იმპერია საქართველოს სსრ მცენის აკადემიის მეცნიერი მუშა-
დებისა და სხვა მცენის აკადემიის მინისტრი წერილები, რომელმციც შოკლები გამოიცემულია მათი გამოყვლე-
ვების მთავარი წერდები.

2. „მოამბეზი“ სელმძღვანელობას სარედაქციის კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს
სსრ მცენის აკადემიის საერთო ქრება.

3. „მოამბეზი“ გამოიცის ყველაზოგრად (თეის ბოლოს), გარდა იყლის-აგვისტოს თეისა—
ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებით 5 მეტრზე თაბაბის მოცულობით თითოეული. ერთი ჭიდის
ყველა ნაკვეთი (სულ 10 ნაკვეთი) შეადგინებული ცალკე.

4. წერილები იმპერია ქართულ ენაზე, იგვენ წერილები იმპერია რუსულ ენაზე პარა-
ლელურ გამოიცემაში.

5. წერილის მოცულობა, ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღმარტინდეს 8 გვერდს.
არ წერილება წერილების დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსავალებრბლად.

6. მცენის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერი-
ლები უმაღლოდ გადაეცემა დასაბეჭდად „მოამბეზი“ რედაქციას, სხვა აღტიტობების წერილები კი
იმპერია საქართველოს სსრ მცენის აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონ-
დენტის წარმოდგენით. წარმოდგენის გარეშე შემოსულ წერილებს რედაქცია გადასცემს აკა-
დემიის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსაზილებლად და, მისი დად-
მოთი შეფასება უსაზურიში, წარმოსადგენად.

7. წერილება და ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იქნეს აფრორის მიერ სავ-
სებით გამზადებული დასაბეჭდად. ყორმულები მკაფიოდ უნდა იყოს ტექსტში ჩაწერილი
ხელით. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში არავითარი შესწორებისა და და-
მატების შეტანა.

8. დამოწმებული ლიტერატურის წესახნები მონაცემები უნდა იყოს შეძლებისდაგვრად
სრული: საპრირა აღინიშნოს უსრულების სახელშოდება, ნომერი სერიისა, ნაკვეთისა,
გამოცემის წელი, წერილის სრული სათაური; თუ დამოწმებულია წიგნი, სავალდებულო
წიგნის სრული სახელშოდების, გამოცემის ჭიდისა და ადგილის მითითება.

9. დამოწმებული ლიტერატურის დასახლება წერილს ბოლოში ერთობის სიის სახით.
ლიტერატურაზე მითითებისას ტექსტში ან შენიშვნებში ნაჩვენები უნდა იქნეს ნომერი სიის
მიხედვით, სამსახურის გადაწყვეტილების დღისის გარეშე.

10. წერილის ტექსტის ბოლოს აფრორის უნდა აღნიშნოს სათანაო ენგბზე დასახე-
ლება და ადგილმდებარეობა დაწესებულებისა, სადაც წესრულებულია ნაშრომი. წერილი
თარიღდება რედაქციაში შემოსულის დღით.

11. აფრორის ქდლება გვერდებად წერილი ერთი კორეტურა მეცნიად განსაზღვოული
გადით (წევრულებრივად, ან უმცესს ერთი დღის). დადგენილი ვადისთვის კორეტურის წარმო-
უდგენლობის შემთხვევაში რედაქტიას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდა, ან დაბეჭ-
დოს იგი აფრორის ვიზის გარეშე.

12. აფრორის უფასოდ ეპლევა მისი წერილის 50 ამონაბეჭდი (25 ამონაბეჭდი თითო-
ებული გამოცემიდან) და თითო ცალი „მოამბეზი“ ნაკვეთებისა, რომელმციც მისი წერილის მოთავ-
სებული.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მისამართი მ., 8.

СООБЩЕНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР, т. XI, № 9, 1950

Основное, грузинское издание